№ 2744
სამშაბათი,
15 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ [illegible]
სამშ[illegible]
15 თებერვალი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის [illegible] ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და [illegible]. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის **ადრესი:** Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". **ტელეფონი № 372**

ბარბარე, ეკატირინე, ნინო, მელანია, სოლომონ, იოსებ და გიორგი თურქესტანიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის შვილის, მეორე ძვირფას მეუღლის, ხოლო დანარჩენნი—ძმის

ალექსანდრე თურქესტანიშვილისას.

პანაშვიდი დღეს, საღამოს ექვს საათზე და ხვალ შუადღის 12 საათზე, მიცვალებულს რკინის გზის სადგურზე გაასვენებენ ხვალვე, სამშაბათს ნაშუადღევისპირველ საათზე, მიხეილის საავადმყოფოდან. **დასაფლავება** მოხდება ხუთშაბათ 12 საათზე სოფელ თელათგორში. (2—2)

კნეინა ნინო გიორგის ასული ციციშვილისა, კნეინა სიძო კონსტანტინეს ასული ამილახვრისა და თავადი გიორგი ოთარის ძე ამილახვარი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძმისას, მეორე მამამთილისას და მესამე ბიძის

თავადის კონსტანტინე გიორგის-ძის ამილახვრისას,

სთხოვენ მობძანდნენ და დაესწრნენ 17-ს ამა თებერვლისას დილის 9 საათზე ს. ოთარშენში, საიდანაც მიცვალებულს გაასვენებენ დასაკრძალავად საგვარეულო ტინისხიდის ეკლესიაში. პანაშვიდები გარდახდილ იქნება ოთარშნის სასახლის ეკლესიაში ყოველ დღე დილის 11 საათზე და საღამოთი 7 საათზე. ამავე დღეს გარდახდილ იქნება გარდაცვალებულის **თავადის კონსტანტინე ამილახვრის** მეუღლის **კნეინა ელენეს ორმოცის წირვა**. (2—49—2)

მარიამ ზაქარიას ასული რიჟოვისა და დავით ზაქარიას ასული მჟედლოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას თავიანთ დედის, დეკანოზის ქვრივის,

პელაგია იოსების ასულის მჟედლოვისას

გარდაიცვალა 12 ამა თებერვალს. პანაშვიდი 15 თებერვალს საღამოს 7 საათზე. გვამის გამოსვენება ოთხშაბათს, 10 საათზე, საკუთარ სახლიდან ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო იქიდან კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (1—1)

სახაზინო თეატრი (აბონემენტის გარეშე)

ხუთშაბათს, 17 თებერვალს, 1905 წელს. ბენეფისი ვლ. **ალექსი-მესხიშვილისა**
ქართულ-დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა

დრამა 5 მოქ. მონესისა ✦**კაი გრაკხი**✦ თარგ. ი. მაჭავარიანისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ადმინისტრაცია ამხანაგობისა. რეჟისორი ვლ. **ალექსი-მესხიშვილი.**

ტფილისის ქალაქის მოურავისაგან

ამით ვაუწყებ ყველას, რომ შემოწირულებანი ბაქოში 5—11 თებერვალს დაზარალებულთა (ეროვნებისა და წოდების განურჩევლად) სასარგებლოდ მიიღება ქალაქის გამგეობაში ყველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 3 საათამდე.
(3—1) **ქალაქის მოურავი ქ. ვერმიშევი.**

[illegible]ო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
[illegible] სამშაბათს, 15 თებერვალს, 1905 წელს დონსკოის საბენეფისოდ
[illegible]ლი იქნება: **„მეფისტოფელი"**, ოპერა 5 მოქ., მუსიკა ბოიტოსი.
[illegible]ბას მიიღებენ: ქ-ნნი: ვიკშემსკაია დონსკაია, მიხაილოვა, ბუნაკოვა, ხასლავსკაია და სხ. ბ-ნნი: დონსკოი, პორუბინოვსკი, სპერანსკი, ხალინსკი, მურატოვი.
[illegible]ლმეისტერი დინვალდი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე
[illegible] თებერვალს—წარმოდგენა „ქარ. დრამ. საზოგადოების" სასარგებლოდ ქ-ნ პაპაიანის მონაწილეობით.

დიდი ვაჭრობა

[illegible]ვკასიის **პირველი ამხანაგობა დამზადებულ ტანისამოსის** ძმ. აკოფჯანოვებისა და სარქისიანცისა. ნიკოლოზის ხიდი, სახლი ქამოევისა № 25-30.

რადგან დიდ-ძალი საქონელი შეიკრიბა—კაცთა, ქალთა და ბავშვთა დამზადებული ტანისამოსი,—ჩვენ გადავწყვიტეთ დავნიშნოთ სულ **იაფი ვაჭრობა** 20 დღით 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე. ფასები ქარხნისაზე ნაკლებია. ფასები ულაპარაკოდ. (150—14)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჟიჟინაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
[illegible] **ქალი მ. ძ. იოსელიანი.**—ქალისა და [illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურ[illegible] 1—2.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

[illegible]ვისი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ქირის სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. [illegible]ა. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—15)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—18)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიჟინაშვილი
გადავიდა **ბულონცოვის ქუჩაზე** წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—26)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციული ბანკის სახლი. (60—403—11)

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბავშვო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—30).

კბილებს
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხგელი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—30)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
12 თებერვალი

სახეტუნი. საღამოს 6 საათი და 20 წ. ცინხეჩენთან ბრძოლის დროს მოკლულთა პროცენტი დიდია. მეორე რაზმში ორი როტიდან გადარჩა რამდენიმე ათ კაცი, როტის უფროსი დაჭრილია. [illegible]ლით იაპონელები დაეცენ დაპინლინ-ულელტეხილს, სანლუნიუს სამხრეთ-[illegible]ლეთით. დიდძალი ჯარი მიდის მუკ[illegible]ვინციისკენ.

პეკინი. ჩინეთის გაზეთები ახალ[illegible] დამხმარებელ საქველმოქმედო საზოგადოების ანგარიშს. ჩინელებს ზარალი მოუტანა იმ ომმა, რომელიც დაიწყო შანხაიში მისიონერ რიჩარდ პიუხტაუნის ხელმძღვანელობით. ამ მისიონერმა თავისი მოქმედება გადაიტანა სინმინტინსა და გოუბაინცზიში და მუშაობა, „ბეიანე"-ს საზოგადოებასთან ერთად, რომელიც ამავე მიზნითაა დაარსებული იუანშიკაისაგან. ამ საზოგადოებაში მონაწილეობას იღებენ ამერიკის, ბრიტანიის, იტალიისა და იაპონიის ელჩები. ეს საზოგადოება მუშაობს ლიაოიანსა, მუკდენსა და ტელინში. ოიამამ შესწირა მას 2000 ლანი. იაპონელების მხურვალე მონაწილეობის მიღება ამ საქმეში აიხსნება, ალბად, იმით, რომ საშუალება ეძლევათ ამ საზოგადოების შემწეობით დამოკიდებულება იქონიონ მუკდენის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში.

ხარკოვი. საგუბერნიო ერობამ მიიღო კუროპატკინისაგან შემდეგი დეპეშა: „გულითად მადლობას ვუთვლი ხარკოვის საგუბერნიო ერობის კრებას გამოთქმულ გრძნობებისათვის". დღეს გამოვიდა ყველა გაზეთები.

პარიზი, (ჰავასი). პრეზიდენტმა ლუბემ საუზმე გაუმართა გამომძიებელ კომისიას, ადმირალთა და დიპლომატთა პატივსაცემლად.

სახეტუნი, 11 თებერვალი. მარჯვენა ფრთაზე ყველაფერი წყნარადაა. თბილი, მზიანი დარია, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის ქარი უბერავს და მტვერს გვაყრის. მთელი დღე მოისმის ზარბაზნების ხმა მარცხენა ფრთიდან. ასე დღის ექვს საათზე ასტყდა ზარბაზნების სროლა ცენტრში. ესვრიან საალყე ზარბაზნებს.

ვუანშანი, 12 თებერვალი. წუხელი ღამით იაპონელების ექვსი როტა დაეცა მდინარე ტახეზე ფინლაპისთან დარაჯათ მყოფ ერთ-ნახევარ როტას და დაახევინა მას მეორე ნაპირისაკენ. ჩვენების მიშველებმა იაპონელები შეაჩერა, მაგრამ პოზიციიდან მათი განდევნა კი არ მოხერხდა. ჩვენებში ერთი აფიცერი დაჭრილია, მოკლულია, დაჭრილი და დაკარგულ 30-მდე ჯარის კაცი. დღეს იაპონელთა ერთ დივიზიაზე მეტმა ჯარმა დაიჭირა სოფლები ტხაო და ჩაუხანკაი.

მოსკოვი. სტესელის ვაგონი მოხსნეს პოდოლის სადგურზე და გაგზავნეს პირდაპირ ნიკოლოზის ვოკზალზე საიმპერატორო პავილიონში. შეხვდნენ გუბერნატორი, გრადონაჩალნიკი, აფიცრები როსტოვის პოლკისა, სადაც პირველად მსახურებდა სტესელი, თავადაზნაურობა, ნათესავები და ნაცნობები პორტ-არტურელებისა. მატარებელს დაუხვდა როსტოვის პოლკი მუსიკის მარშით. პოლკის კომანდირმა სიმანსკიმ მიმართა სტესელს სიტყვით და სთხოვა მიეღო როსტოვის გრენადერებისაგან აღტაცებული სალამი.

პეტერბურგი. მთელს რუსეთის რკინის გზებზე, გარდა შუაგულ აზიისა და ბასკუნჩაკისა, სამხედრო მატარებლების წესიერ მიმოსვლის უზრუნველსაყოფად, შემოღებულ იქმნა დებულება, რომელიც რკინის გზაზე მოსამსახურეებს შეეხება ომიანობის დროს. ამ დებულების თანახმად რკინის გზაზე მოსამსახურეები, მუშაობის თავის ნებაზე შეწყვეტისათვის, სისხლის სამართალში იქნებიან მიცემულნი.

ადესა. ადესის სამაზრო მკურნალთა სიეზდმა, ხოლერის საწინააღმდეგოდ ზომების მისაღებად აღძრულ ლაპარაკის დროს, გადასწყვიტა დაუყონებლივ მიენდოს ეპიდემიასთან ბრძოლა ერობებსა და ქალაქებს, დაარსდეს ბაქტერიოლოგიური კურსები ექიმთათვის და ნება მიეცეს უცხოეთში სწავლა-მიღებულ ექიმთ იბრძოლონ ხოლერის წინააღმდეგ.

ბათუმი, 12 თებერვალი. ადგილობრივ სომეხთ და ოსმალთ მცხოვრებლებს აღელვებს განზრახ გავრცელებული ბოროტი ხმები მოახდინონ ბაქოსებური არეულობა ბათუმშიაც. მეჩეთში შეკრებილ მაჰმადიანებს წამ და უწყუმ ატყობინებენ, ვითომც მეჩეთი უნდა ააფეთქონ. ოსმალეთის ქვეშევრდომების წასვლას ქალაქიდან განზრახ აბრალებენ სომხებს. სომხების დეპუტატებმა განუცხადეს ოსმალთა და სპარსთა კონსულებს, რომ სომხებს ტყვილად აწერენ ამისთანა განზრახვებს. სპარსეთის კონსული, დაკმაყოფილებული ამნაირი განცხადებით, სცდილობს რომ ააშოროს სომხებს მძიმე ბრალდება. აჭარაში წასული ოლქის უფროსი ჩერ[illegible] [illegible]ეგი აჭარისა არ დაბრუნებულან. ხმენოვი და [illegible] აჭარასაც მოელოდ[illegible] [illegible]ბის, მოძრაობა[illegible] სიწყნარე აღდგენილია, მა-

ბაქო. თუმცა[illegible] გაღებულია, მაგრამ დაზიანები და კანტორები [illegible] 31 [illegible]ძირს უთხრის ვაჭრობა-მრეწველობას. ბირჟაზე [illegible] შეწუხებული მდგომარეობა [illegible]უსაქმობაა. ბევრი მუშა, შველა ეროვნებისა [illegible] მუშაობას თავს ანებებს და მიდის. საბირჟო კომიტეტმა, სიეზდის საბჭომ, ბანკებისა და სავაჭრო ფირმების წარმომადგენლებმა დეპეშით აცნობეს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვიტტეს, რომ, რადგანაც შეუძლებელი იყო აქამდე სიეზდის განგრძობა, ვფიქრობდით დღეს დაგვეწყო, მაგრამ, წევრების დაუსწრებლობის გამო, სხდომა არ შედგა. ჩამოვიდა თუ არა ტფილისიდან, შეიხ-ულ-ისლამმა ქადაგება სთქვა მეჩეთში, მონაწილეობა მიიღო პროცესიაში და ინახულა სომხების საბორი, სომეხთა ეპისკოპოსმა მეჩეთი ინახულა. გუბერნატორის თავმჯდომარეობით გაიხსნა შემოწირულებათა შემკრები კომიტეტი. დღეს ორივე გაზეთი გამოვიდა. „ბაკინ. იზვეს."-ს ანგარიშით დაიღუპა 500-მდე კაცი, მათ რიცხვში 15 რუსი, ებრაელები, ქართველები და ერთიც ნემეცი.

ბელგრადი. „ნეიე-ფრეიე-პრესე"-ს სიტყვით, სერბიის ფინანსთა მინისტრი იწვევს, ის მოელაპარაკა ბანკების სამ დირექტორს. იგინი დაეთანხმნენ სესხზე, მაგრამ იმ პირობით კია, რომ მასალას იგინი მოიტანენ. პაშუმ უპასუხა, რომ სერბიამ ყურადღება უნდა მიაქციოს საფრანგეთის ბანკების მოთხოვნას.

მადრიდი. (ჰავასი). რუსეთის ელჩი უკანასკნელად იყო მეფესთან.

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, დიდ მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასულთან ერთად, ინახულა მისი უდიდებულესობის ლაზარეთი ცარსკოე სელოში, სადაც მოწყალედ ესაუბრნენ დაჭრილებს და უმთავრესი ყურადღება მიაქციეს ახლადმოსულ დაჭრილთ. მისი უდიდებულესობა და უმაღლესობა დაესწრნენ მწუხრს ლაზარეთში. აქვე იყვნენ დაჭრილნიც. დღეს დედოფალ მარიამ თეოდორეს ასულს წარუდგნენ ცარსკოე სელოში წითელ ჯვრის მოწყალების დანი, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში მიდიან. დღეს ნაშუადღევს 1 საათზე მოვიდნენ მოსკოვიდან ცარსკოე სელოში დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული, ჰერცოგინია კობურგ-გოტისა, და დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე. მათ უმაღლესობას შეხვდნენ ვოკზალზე ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცები, დიდი მთავრინები და მთავრები. დღეს დილით მოვიდა პეტერბურგს პორტ-არტურის ციხის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი რეისი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
13 თებერვალი.

ტოკიო. შეიპყრეს გერმანიის გემი „რომულუსი", რომელსაც 3500 ტონა ნახშირი მიჰქონდა ვლადივოსტოკში.

ბერლინი. „ნეიე ფრეიე პრესე"-მ დაბეჭდა, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა დაწვრილებითი მოხსენება მიიღო პრინც ანტონ ჰოჰენცოლერნისაგან, რომელიც სწერს, რომ კუროპატკინი ცუდ მდგომარეობაშიაო. ეს ცნობა მტკნარი სიცრუეა.

სოფია, 12 თებერვალი (საკუთარი კორესპონდენტისაგან). ოფიციოზურ გაზეთ „ნოვი ვეკ"-ში მოთავსებულია სტატია, რომელიც ამტკიცებს პორტას შემდეგში: პორტა სთესავს მტრობას მაკედონიის ერთა შორის და ამით ხელს უშლის რეფორმების განხორციელებას, აქარწყლებს კეთილ სურვილებს სამოქალაქო აგენტებისა და უცხოეთის აფიცერთა. „ნოვი ვეკ"-ს უხარიან, რომ ლონდონში გაიგეს საქმის ვითარება. ლანსდოუნმა სრულიად საბუთიანად შემოიტანა პროექტი, რომლის თანახმადაც პროვინციის მართვა-გამგეობა მიენდობა ევროპის კომისიას. კომისიის მოთავედ ქრისტიანი გუბერნატორი იქნება.

ვარშავა. ვენის გზაზე დაიწყო წესიერი მიმოსვლა მატარებლებისა. შესწყდა მოძრაობა მატარებლებისა ვარშავა-ბრესტის გზაზე.

არიოლი. მცენსკის ქალაქის თვით-მმართველობას ნება მიეცა ქალაქის სასარგებლოდ აიღოს გადასახადი ქალაქში რკინის გზით შემოტანილ და გატანილ საქონელზე.

კიევი. ხელმწიფე-იმპერატორის უმაღლეს ნებით 11 თებერვლიდან ევროპის რუსეთის ყველა რკინის გზაზე, ბასკუნჩაკისა და სხვა პატარა შტოს გარდა, მთლად უნდა სრულდებოდეს ომიანობის დროის დებულება რკინის გზის მოსამსახურეთა შესახებ.

ბრესტი. ნაღმიან გემზე № 204 დაკარგულა ყუთი, რომელშიაც ცოტა ფული და საჭირო საიდუმლო დოკუმენტები ინახებოდა. ეს საიდუმლო დოკუმენტები შეეხებოდა სახელმწიფოს დაცვას. მეზღვაური, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, დატუსაღებულ იქნა. გამოძიება სწარმოებს.

14 თებერვალი

მოსკოვი. ყაზანის გზაზე სახალხო მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. საქონლის მატარებლები ჯერ კიდევ არ დადიან.—13 თებერვალს მოსკოვის ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა კრებამ სასურველად სცნო მოუწოდოს დაბალ მოსამსახურეთა და მუშათა განსაკუთრებულ საზოგადო კრებას მათ საჭიროებათა გამოსაკვლევად; ამ კრებამ სასურველად სცნო აგრეთვე, რომ ქალაქის მოსამსახურეებმა შექმნან მუდმივი კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს დაიცვას ყველა მოსამსახურის უფლებები და დახმარება გაუწიოს მათ ზნეობრივად და მატერიალურად გასაჭირის დროს. ამ ორგანიზაციის დედა-აზრია: 1. კორპორატიული მოწესრიგება ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილისა ამა თუ იმ ნაწილის საკითხთა გადასაწყვეტად; ამ საქმის სათავეში უნდა იდგეს ამორჩეული კომიტეტი; 2. მუდმივი კომიტეტი, შემდგარი საქალაქო სამსახურის სხვა-და-სხვა ნაწილთა წარმომადგენლებისაგან საერთო კითხვათა გადასაწყვეტად და 3. დრო-გამოშვებით საზოგადო კრებები ყველა მოსამსახურეთა ორგანიზაციის მოქმედების საზოგადო მიმართულების შესამუშავებლად.

ტულა. გაიარა სტესელმა. მანდილოსნებმა მიართვეს მშვენიერი ბიუვარი ადრესით, ქალბატონ სტესელს კი ყვავილები. დეპუტაცია გუბერნიის მარშლითურთ ადრესით მიეგება. იარაღების ქარხანამ მიართვა მშვენიერი სანადირო თოფი. აურაცხელი ხალხი ნამდვილის გულმხურვალებით შეხვდა.

კოვნა. გუბერნატორ ვერევკინის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. შეიკრიბა [illegible] მეფაბრიკე და 20 წარმომადგენელი მუშებისა, საფაბრიკო ინსპექტორების თანდასწრებით. კომისიამ დაადგინა, შეიკრიბოს თვეში [illegible] ხელ ფაბრიკის პატრონთა და მუშებისაგან მოტანილ განცხადებების განსახილველად. ეს განცხადებები მუშათა და მეფაბრიკეთა დამოკიდებულებას უნდა შეეხებოდეს. ამ კომისიამვე შეიმუშავა, რა წესით უნდა ირჩევდნენ მუშები წარმომადგენლებს, დაადგინა, რა უფლებებით უნდა იყვნენ ისინი აღჭურვილნი და რა მოვალეობას უნდა ასრულებდნენ; მიიღო მუშებისაგან ჩივილი სამკურნალო დახმარების [illegible]ბასა და მისს ცუდ ორგანიზაციაზე; [illegible] აგრეთვე შესაფერი ზომები მუშების საქმის... დასახმარებლად ავადმყოფობის დროს, [illegible] საც გადაწყდა დასახმარებელ კასის დაარსე[illegible]

ვენა. „ნეიეს ვინერ ჟურნალი" სწერს ავსტრო-უნგრეთის საკონსულოში ბერლინში მომხდარ ქურდობის შესახებ, რომ საქმემ დიდი ხასიათი მიიღო; მარტო ფულები კი არა, სხვა სერიოზული დოკუმენტებიც მოუპარავთ. აღმატებული პირები სცდილობენ ხელი გადაათარონ ვიცე-კონსულ დეიტელს, რომელსაც წილი უდევს ამ საქმეში.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. როგორც გენ. კუროპატკინისა და გენ. სახაროვის დეპეშებიდან სჩანს, იაპონელებს 12 იანვარს დილის 5 საათზე სოფ. ცინხეჩენი აუღიათ და ფუშუნის გზით დალინის ქედისაკენ წასულან. იმავ დილით იაპონელების ერთს ბატალიონს დაპინლინის უღელტეხილისაკენ გაულაშქრია (სოფ. სასანლიუნიუს სამხრეთ-დასავლეთით). 12 იანვარს საღამოთი იაპონელები სხვა უღელტეხილებსაც მიახლოვებიან. ცინხეჩენთან, სჩანს, გამწვავებული ბრძოლა მომხდარა და სოფლის წინ მდებარე ბერესნევის [illegible]რა იაპონელებს შტიკებით აუღიათ. [illegible]სებს დიდი ზარალი მოსვლიათ. ერთ ადგილს ორი როტიდან მხოლოდ 30-მდე კაცი-ღა დარჩენილა...

ცინხეჩენთან გენ. კუროკის განაპირა მარჯვენა ფრთა მოქმედებს. 11 იანვარს საღამოს გენ. კუროკის მეორე რაზმს უანფულინის უღელტეხილისაკენაც გაულაშქრია, ამ უღელტეხილიდან 9 ვერსტის მანძილზე სამხრეთით სოფლები თხა და ჩაუხონზაი დაუჭერია და იქ [illegible] ჯარი ჩაუყენებია. უანფულინის [illegible]ხილიც ფუშუნის გზაზე მდებარეობს [illegible] უპუჩადან 15 ვერსტის მანძილზე, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, და დალინის უღელტეხილიდან 40 ვერსტის მანძილზე, დასავლეთით. ასე რომ გენ. კუროკი ორის მხრიდან მიდის ფუშუნისაკენ. ამავე დ[illegible] გენ. კუროკის მარცხენა ფრთასაც ი[illegible] მიუტანია რუსებზე სოფ. ფინდიაპუ[illegible] მდ. შახეზე (ბანიუპუზა-მუკდენის გ[illegible] მუკდენიდან 25 ვერსტის მანძილზე) [illegible]თი პოზიცია დაუჭერია...

მდ. შახეზე, სხვა ადგილებში ჯერ [illegible] შენელოვანი ბრძო[illegible] ცენტრსა და მარცხ[illegible] ბი ზარბაზნის სროლა[illegible] რამ სამხედრო მიმოხილველ[illegible] რუსის არმია ამ ჟამად [illegible] შია ჩავარდნილ[illegible] [illegible]"-ს სამხ[illegible]

„რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ მუკდენიდან: იაპონელებს 8—დიუმიანი და 9—დიუმიანი ზარბაზნები დაუშინეს რუსის პოზიციებსათ. ბ. ობოლეშევი ატყობინებს „რუსკოე სლოვო“-ს: იაპონელებმა გააფრთხილეს ჩინელები, ამას იქით ჩვენი ყუმბარა ხუანშანის ჩრდილოეთათ სოფლებსაც მოხვდებაო. ხოუტხაის გორიდან ხუანშანამდე 11 ვერსის მანძილი იქმნება, და ამ მანძილზე მხოლოდ 11-დიუიმიან ზარბაზნის ყუმბარა მიუწევს. მაშასადამე, ეჭვი არაა, იაპონელებს ხოუტხაისთან რამდენიმე 11-დიუიმიანი ზარპაზანი დაუდგამთ. ამ ზარბაზნების 19 ფუთიანმა ყუმბარებმა ჩასძირეს რუსის ჯავშნიან გემები და პორტ-არტურის სიმაგრეები დაანგრიეს, თუმცა ეს სიმაგრეები უძლეველიაო მიაჩნდათ“. მიმომხილველი ჰფიქრობს, იაპონელები რუსის არმიის წინაალმდეგ ერთ ადგილას-კი არა, ყველგან დასდგამდნენ დიდ ზარბაზნებს და რუსის პოზიციების აღებას შეუდგებიანო. იაპონელებს რომ გინდ მარტო ათი 11-დიუიმიანი ზარბაზანი მოეტანოთ მდ. შახეზე, ძლიერ მალე მიანგრ-მოანგრევენ რუსის პოზიციებს. იაპონელებმა ამ ზარბაზნებით 26 დღეში დაანგრიეს პორტ-არტურის ფორტები; 11-დიუიმიანი ყუმბარა 10 ვერსის მანძილზე 3—4 ფუტის სისქე ქვის კედელს ანგრევს. ხელ-და ხელ გამართულ სიმაგრეებს ხომ უფრო მალე დაანგრევენ. რუსის არმიას პოზიციებში დამალულს ეხლავე დიდი ზარალი მოსდის ამ უზარმაზარ ზარბაზნებისაგან. ამიტომ გენ. კუროპატკინმა ან თითონ უნდა მიიტანოს იერიში იაპონელებზე, ან მდ. ხუნხეს გაღმა დაიხიოს“. („რ. ვ.“).

იაპონელები რუსის არმიის უკან. სახეტუნიდან მიღებულმა დეპეშამ ამბავი მოიტანა, იაპონელების ცხენოსანი რაზმი ხარბინს 50 ვერსზე მოუახლოვდაო. თუ ეს ცნობა მართალია, მაშ იაპონელები ნამდვილად ხარბინისკენ მიდიანო. ბოდუნოდან და სადგურ ტალანჩეოუდან იაპონელები ხარბინისაკენ წასულან.

იაპონელების თარეშმა ყველანი გააკვირვა. „ნოვ-ე ვრემია-“ც კი ამბობს, იაპონელები მეტად მამაცად მოიქცნენ და რუსის კავალერიის თარეშში გაათასესო.

„ნ. ვინერ ტაგებლატ-“ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: იაპონელების თარეში ჩრდილოეთისაკენ დიდის ყურადღების ღირსია. და თუ ის ცნობა, ვითომ იაპონელებს გუნჩჟულინთან 6 ესკადრონი კავალერია, 4 როტა ქვევითა ჯარი და 2 ათასი ხუნხუზი ჰყოლიათ, თუ ეს თითქმის სენსაციონური ცნობა ნამდვილად სწორე ცნობაა, უნდა მოველოდეთ, რომ იაპონელები ერთ მშვენიერ დღეს რკინის გზას წაახდენენ და მთელ რუსის არმიას ხარბინის გზას მოუჭრიან. იაპონელები ადვილად გააფუჭებენ დიდ მანძილზე რკინის გზის ლიანდაგს და რუსები რამდენსამე კვირას მოუნდებიან გზის შეკეთებას. რა მდგომარეობაში ჩავარდება იმ დროს გენ. კუროპატკინის არმია, ამის ახსნა საჭიროდ არ მიგვაჩნია. („ოდ ნ.“).

„რუსკია ვედომოსტი-“ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. სწერს: 5 თებერვალს იაპონელები სადგურ იამინს დასცემიან. ეს სადგური ხარბინიდან 148 ვერსტის მანძილზე მდებარეობს, სამხრეთით. ეტყობა, იაპონელებს მდ. სუნგარიზე რკინის გზის დიდის ხიდის დანგრევა სწადიანთ. რუსებმა უსათუოდ სულ მცირედ 20—25 ათასი კაცი უნდა გაგზავნონ მდ. დალიაოხესა და მონგოლიისაკენ და იაპონელები იქიდან განდევნონ. თორემ იაპონელები რუსის არმიის უკან მეორე პლევნას გაიმართავენ და გენ. კუროპატკინს ხარბინის გზას მოუჭრიანო.

რუსის კორესპონდენტები მეტად ცოტა ცნობას ჰგზავნიან იაპონელების თარეშზე. ჯერ ნამდვილად არა სჩანს, რამდენი ჯარი ჰყავთ იაპონელებს და ქვევითა ჯარიცა ჰყავთ, თუ არა.

ბ. ობოლეშევი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ჩინელები ამბობენ, იაპონელებს უმთავრესად რკინის გზის დასავლეთ ტოტის წახდენა სწადიანთო. („რ. ს.“).

ბ. ლოდიჟენსკი დეპეშით ატყობინებს „რუსკოე სლოვო“-ს: იაპონელებმა გუნჩჟულინისაკენ გაიარეს, ყველანი ფეხზე დააყენეს, იქაობა არივ-დარიეს და მონგოლიაში წავიდნენ. თარეშში იაპონელი ქვეითა ჯარის-კაცები იღებენ მონაწილეობას. მხოლოდ ესენიც ცხენებზე სხედან.

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება: ამბობენ იაპონელების რაზმში, სადგურ ფანძიატუნს რომ დაეცა, ერთს აფიცერს გენ. ოკუს მეცხრე ცხენოსან პოლკის ფორმა ეცვაო... იაპონელები გუნჟულინს ახლო რუსის ურმებს დასცემიან და ერთი ურემი ქერი წაურთმევიათ... ნამდვილად გავიგე, რომ იაპონელებს მონგოლიაში სხვა-და-სხვა ადგილას ბინები დაუდგიათ და იქიდან თავს ესხმიან რკინის გზას.

იმავ გაზეთის კორესპონდენტი იუწყება: ხმა დადის, იაპონელები მხოლოდ დემონსტრაციას ახდენენ რკინის გზის პირად, ამავე დროს ხუნხუზები მონგოლიაზე ჩრდილოეთისაკენ მიდიანო.

გენ. კუროპატკინი. „ეკო დე პარი“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: აქ ცნობა მიიღეს, რომ გენ. კუროპატკინი ავადააო. რადგან გენ. კუროპატკინის ჯანმრთელობაზე მეტად არეული ცნობები მოდიოდა პეტერბურგში, ამიტომ მთავრობამ სტატს-სეკრეტრები აბაზა და ობოლენსკი გაგზავნა მანჯურიაში. სტატს-სეკრეტრები მუკდენში ჩავლენ და გამოიძიებენ, თუ რამდენად მართალია ეს ხმები. ორსავე სტატს-სეკრეტარს დიდი უფლება აქვს მიცემული. („ო. ნ.“).

გენ. გრიპენბერგი. ზოგიერთი სამხედრო მიმოხილველი ჰფიქრობდა, იქნება გენ. გრიპენბერგმა მთავარ-სარდლის დაუკითხავად გაილაშქრა წინა, ან იქნება გენ. კუროპატკინმა მხოლოდ დემონსტრაციის მოხდენა და მტრის ჯარის დაზვერა დაავალაო, და გენ. გრიპენბერგმა კი სანდეპუსა და ხეგოუტაის აღება მოანდომაო. გენ. გრიპენბერგს უთქვამს „რუს“-ის კორესპონდენტისათვის: მტრის დასაზვერად მთელ არმიას, არტილერიითა და კავალერიით როდი ჰგზავნიან. ამისათვის იმ ჯარის ნაწილიც იკმარებს, რაც მე მყავდა. მერე, მარტო მტრის დასაზვერად რომ გამელაშქრა, მაშველ ჯარის გამოგზავნას ისე ბეჯითად როგორღა მოვსთხოვდი მთავარ-სარდალს; მტრის ჯარსა და იმის პოზიციებს დავზვერავდი და უკან დავიხევდი. არც დემონსტრაციის მოხდენა მინდოდა, როგორც ზოგიერთ სამხედრო კრიტიკოსს ჰგონია. ჩვენი მოქმედება ნამდვილი წინ გალაშქრება იყო. გალაშქრების პლანი მთავარ-სარდლის შტაბმა შეადგინა და ამ პლანის თანახმად ხეგოუტაი და სანდეპუ უნდა აგველო. პირველსა და მეორე არმიებსაც დახმარება უნდა გაეწიათ ჩემთვის. მთელ ფრონტზე ზარბაზანი უნდა დაეშინათ იაპონელებისათვის და დემონსტრაცია მოეხდინათო...

ბოლოს გენ. გრიპენბერგს უთქვამს კორესპოდენტისათვის: როცა ჩემის ჯარით პოზიციაზე დავბრუნდი, გენ. კუროპატკინისაგან დეპეშა მივიღე: „დახმარება გამიწიეთ, აგები გამაგებინოთ იაპონელების უმთავრესი ჯარი სადა დგასო“. („რ.“).

ხმა დადის, გენ. გრიპენბერგი ხელ-ახლად დაბრუნდება ომის ასპარეზზეო. („ო. ნ.“).

დასაწყისი წერილისა „ბ. თ. ჟორდანია საკუთარ თავის წინაშე“

დღევანდელი დღე განკითხვის და გასამართლების დღეა. საშინელი და სასტიკი განკითხვა მოელის ყველას, ვინც ავიწროვებდა და ახჩობდა ხალხს. ღალატობდა საზოგადოებას და ათასნაირ ღონისძიებას ხმარობდა, რათა დაებრკოლებინა და შეეფერხებინა ადამიანის წინსვლა და კეთილდღეობა. წარსული წარმოსდგა წინ გაცოცხლებული და თხოულობს ანგარიშს მომავლისათვის. წარსული ბოროტება, ცოდვები, უსამართლობა, ფარისევლობა, გაიძვერობა, ძალმომრეობა—ყველაფერი უნდა გამომჟღავნდეს დღეს.

ვერ ასცდებიან საზოგადოების სამსჯავროს ის ქვეყნის მოღალატენი, რომლებიც პირად წარმატებისა და გამორჩენისათვის ღალატობდნენ საზოკადო ინტერესებს, სამარეს უთხრიდნენ თავის სამშობლო ქვეყანას და არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას, რომ ტყავი გაეძროთ მოძმისათვის. ასეთი მოღვაწე ბევრი მოუვლინა ბიუროკრატიამ ნამეტურ ჩვენს ქვეყანას და დღეს მინდა შევეხო ერთის მათგანის მოღვაწეობას. მე ვამბობ ბ. თ. ჟორდანიას შესახებ.

ჩვენს საზოგადოებაში დიდი ხანია, მეტად ცუდი ხმებია გავრცელებული ბ. ჟორდანიას შესახებ, მაგრამ ნამდვილი, პირდაპირი საბუთები მის შესახებ მხოლოდ რამდენსამე პირს თუ ჰქონდა, მხოლოდ რამდენიმე ქართველი თუ იცნობდა ბ. ჟორდანიას პირდაპირ. ალბად, იცოდა ეს ბ. ჟორდანიამ და სადაც კი შეხვდებოდა, საჯაროდ თუ კერძოდ, ხმ. მაღლა ღაღადებდა თავის გასამართლებლად. ფიცულობდა თავის ქართველობას, სინიდისს, პატიოსნებას, რომ იგი სრულებით უდანაშაულოა. ისეთი ერთგული და სამშობლოსთვის თავგანწირული ქართველია, რომლის მსგავსი მეორე არ მოიპოვება მთელს საქართველოში, რომ უზნეო და დაცემულმა ადამიანებმა უმიზეზოდ ჩირქი მოსცხეს მის სახელს, რომ ამ შეურაცხყოფის არავის არ შეაწევს და სხვა-და-სხვა. მე პირადად მინახავს რამდენიმე ახალგაზრდა, რომელნიც წინად ცუდის თვალით უყურებდნენ ბ. ჟორდანიას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბ. ჟორდანია მთელ სამ საათს უმტკიცებდა მათ თავის სიმართლეს, სრულიად შეიცვალეს აზრი მის შესახებ. ასე სარგებლობდა ბ. ჟორდანია ჩვენის გულუბრყვილობით და ატყუებდა ყველას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მტკიცე, ხელშესახებ საბუთების წარდგენა მის წინააღმდეგ ასე ადვილი არ იყო. ნამეტურ ზემო მოყვანილ წერილის შემდეგ ბევრმა კიდეც შეიბრალა ბ. ჟორდანია, რომელმაც შეაბრუნა ბრალდება და სხვებს დასწამა გამცემლობა და მოღალატეობა. სხვათა შორის, ასეთი ბრალი დასდვა პატივცემულს ალექსანდრე ეპისკოპოზს.

უკანასკნელმა ხმა ამოიღო ბ. ჟორდანიას ბრალდების წინააღმდეგ და იმავე გაზეთის მე-263 ნომერში შემდეგი შინაარსის წერილი დასტამბა: „ქართულ საზოგადოებაში ბ. თ. ჟორდანიას გაუვრცელებია ხმა, ვითომც რაღაც ჯილდოს მიღების გულისათვის მე მიმერთმიოს, ვისდამიც ჯერ არს, მოხსენება, რომ მეგრული ენა სრულებით დამოუკიდებელია ქართული ენისაგან და მეგრელებს არ ესმისთ ქართული. ყველაფერი ეს ცილისწამებაა. ასეთი აზრისათვის არ მიმიცია ალაგი ჩემს გულსა და გონებაში და ვთხოვ ბ. ჟორდანიას ამავე გაზეთის საშუალებით დამიმტკიცოს საბუთებით ის, რაშიაც იგი ბრალსა მდებდა. მე-კი არ შემიძლია არ მოვაგონო ბ. ჟორდანიას მისი საქციელი, რომელიც მან ჩაიდინა ქ. ფოთში ამ წლის აპრილის ბოლო რიცხვებში და რომლის მოწამენიც ბრძანდებოდნენ ნ. ნიკოლაძე, ი. ფანცხავა, გ. მიქაბერიძე და მრავალნი სხვანი.“

პატივცემულ ეპისკოპოსის წერილი, რასაკვირველია, სარწმუნო საბუთი იყო ბ. ჟორდანიას წინააღმდეგ, მაგრამ იგი გარკვევით არ ეხებოდა საგანს, არ არკვევდა სავსებით ბ. ჟორდანიას ვინაობას. უკანასკნელი მაინც თავისას გაიძახოდა, ცილს მწამებენო; სარგებლობდა იმით, რომ ალექსანდრე ეპისკოპოზის მიერ დასახელებულმა მოწმეებმა ვერ გამოიჩინეს მოქალაქობრივი სიმამაცე და ხმას არ იღებდნენ. ბ. ჟორდანიას ვინაობა ისევ გამოურკვეველი დარჩა უმრავლესობისათვის დღემდის; დღეს-კი დროა, ნიღაბი მოვხადოთ ამ საარაკო ადამიანს და ნათლად დავანახოთ ყველას მისი ზნეობრივი სახე, მისი გულის ტკივილები და ნამდვილი რწმენა. ვამბობთ, დრო არის, მარტო იმიტომ კი არა, რომ დღეს განსაკუთრებული, ისტორიული დრო დადგა, არამედ იმიტომაც, რომ ხელში გვიქვს უტყუარი, თვითონ ბ. ჟორდანიას მიერ დაწერილი, დამტკიცებული, ოფიციალური საბუთი *). ეს არის დაბეჭდილი ანგარიში ბ-ნ ჟორდანიასი გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების შესახებ (უნდა გვახსოვდეს, რომ ბ. თ. ჟორდანია არის ამ ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი).

ოფიციალურის ანგარიშის მე-28 და 29 გვერდზე ბ. ჟორდანია სწერს: „მეორე დღეს (25 აპრილი 1903 წ.) დილას ეგზარხოსმა მიიწვია ალექსანდრე ეპისკოპოსის ბინაზე საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარე და საეპარქიო ზედამხედველი (ბ. ჟორდანია), სადაც სოლქო ზედამხედველმა (ვოსტორგოვმა) გამოაცხადა, რომ მას და ალექსანდრე ეპისკოპოსს ჰქონდათ მოლაპარაკება იმ საგნის შესახებ, რომელიც გადაცემული ჰქონდა გადასაწყვეტად საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს, სამეგრელოს სკოლებიდან სახელდობრ, რომ გამოდევნილ იქნას სამეგრელოს სკოლებიდან ქართული სალიტერატურო (?!) ენა და დარჩეს მხოლოდ საეკლესიო ენა (?!),—რომელი საგანიც ზოგიერთ შორის განცდენით საბჭოში ვერ გადაწყდა,—და ერთმანეთთან შეთანხმებით გადაწყვიტეს ეს საკითხი... სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნას საფუძვლად უდევს ის ნათელი ჭეშმარიტება, პედაგოგიური აქსიომა, რომ გაუგებარი და უცნობი ბავშვებს უნდა აუხსნან იმ ენაზე, რომელიც მათ ესმისთ, და თუ მეგრელ ბავშვებს თავისი დედა ენა, მეგრული, უკეთ ესმისთ ვიდრე ქართული, მათთვის გაუგებარის აზრების ასახსნელად უნდა მიჰმართოთ უფრო გასაგებ მეგრულ ენას. სოლქო (ვოსტორგოვი) და საეპარქიო ზედამხედველები ყოველთვის მომხრენი იყვნენ დედა-ენის, რომელსაც უნდა მიმართოთ, როგორც გასაგებს და ნაცნობს, გაუგებარის აზრების ასახსნელად, და რადგან მეგრელების დედა-ენა არის მეგრული და არა სხვა რომელიმე ენა, ამიტომ არც შეიძლება იხმარებოდეს სხვა ენა გარდა მეგრულისა რუსულის ენის სწავლებისათვის... თუმცა მეგრელები ქართველი ტომის არიან, მაგრამ ისტორიული ბედის ზედგავლენით მრავალი საუკუნის განმავლობაში მეგრული ენა იმდენად დიდად განშორდა ქართულს ენას, რომ დღეს მეგრელ ბავშვს არაფერი ესმის ქართულ ენაზე (?)“.

ამ სტრიქონების შემდეგ, რასაკვირველია, სრულიად მეტია რაიმე განმარტება და ახსნა. თავისთავად ნათლად წარმოუდგება ყველას წინ ბ. ჟორდანიას პიროვნება. ბ. ჟორდანია ქართველ საზოგადოებას უმტკიცებს, ქართულ გაზეთში სწერს, რომ ცილის წამებაა, ვითომც მას ხელი შეეწყოს ქართული ენის გამოდევნისათვის სამეგრელოს სკოლებიდან, რომ მას არასოდეს არ უთქვამს, მეგრელების დედა-ენა ქართული არ არისო, და ამავე დროს თავის რუსულ ოფიციალურ ანგარიშში გულახდილად და თამამად აღიარებს, რომ ცდილობდა, ქართული ენა გამორიცხულიყო სამეგრელოს სკოლებიდან, ამტკიცებდა, რომ მეგრელები ქართველები არ არიან და მათი დედა-ენა ქართული არ არის.

რას დაარქმევს თვითონ ბ. ჟორდანია თავის საქციელს? რას იტყვის ახლა, როდესაც პირდაპირ წარსდგება სინიდისის წინაშე? სად არის მისი ფიცი, რომ ქართული ენის სიყვარულს საფლავში ჩავიტანო და მის ღალატს არავის გაპატიებო? ბ. ჟორდანია არამც თუ ღალატობს თავის ერს, კიდევაც დასცინის მას!...

ჩვენ შემდეგ დაუბრუნდებით ბ. ჟორდანიას. ამ წერილის დასასრულ კი მივმართავ ბბ. ნიკოლაძეს, ფანცხავას და მიქაბერიძეს, მათი ზნეობრივი მოვალეობაა, ახლა მაინც ამოიღონ ხმა ალექსანდრე ეპისკოპოზის დასაცველად, რომლის შესახებ თავის ბრალდების „ანგარიშშ- იმეორებს ბ. ჟორდანია. ამა მოით- ზოგადო ინტერესიც.

. . . 94,90
. . 46,30
. . 37,67½
5¼-6³ 4%
90½

ახალი ამბა

◆ გუშინ, 14 თებერვალს, ე მოსწავლეთა ინიციატივით, ვანქის ს ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი ბაქ დაღუპულთა სულის მოსახსენებლად. დილიდანვე დიდძალი ხალხი მიაწყდა ვანქს. მალე ეკკლესიის უზარმაზარი გალავანი სულ ერთიან გაივსო. პირველ საათისათვის ოცი ათას კაცზე მეტი შეიკრიბა. პანაშვიდი სომხეთა სამღვდელოების მიერ გადახდილ

---

*) Отчетъ о состоянiи школъ церковно-приходскихъ и грамоты Гурiйско-мингрельской епархiи въ учебно-воспит. отношенiи а 1902 3 г. Поти 1904 г.

ფელეტონი

წითელი სიცილი *)

ან. ჩეხოვის სახსოვრად
ნარკვევები ნაპოვნ ხელთნაწერიდან.

ნარკვევი მეხუთე

…….მეძინა კიდევაც, როდესაც ექიმმა ოდნავ ხელის კვრით დამიწყო ღვიძება. მე წამოვიყვირე და წამოვხტი ისე, როგორც წამოხტებოდა ხოლმე ყველა ჩვენგანი, როცა აღვიძებენ. ვეცი კარავის გასავალს გარედ გასავარდნად. მაგრამ ექიმს მაგრა ჩაეჭიდნა ჩემთვის ხელი და ბოდიშს იხდიდა.

— შეგაშინეთ განა? მომიტევეთ. ვიცი, რომ ეძინებათ......

— ხუთი დღე და ღამე... ჩავიბუტბუტე, მივდე თავი და მივიძინე: მეძინა, როგორც მე მეჩვენა, დიდი ხანი. ექიმმა კვლავ დაილაპარაკა და დამიწყო ოდნავ ხელის კვრა და ღვიძება.

— ძლიერ საჭიროა, ჩემო კარგო, საჭიროა, მე მგონია...... არ შემიძლიან. მე მგონია, რომ იქ კიდევ დარჩნენ დაჭრილები......

— რის დაჭრილები? თქვენ ხომ მთელი დღე ზიდავდით მათ. თავი დამანებეთ, მომასვენეთ, ეს უპატიოსნობაა, მე ხუთი დღე და ღამე არ მძინებია!

— ჩემო კარგო, ნუ ჯავრობთ.—ბუტბუტებდა ექიმი და უხერხულად ჩამომაფხატა ქუდი თავზე.—ყველასა სძინავს, ვერავის ჩავაგდე გონში. ვიშოვე ორთქლმავალი შვიდის ვაგონით, ეხლა ხალხი-ღაა საჭირო... გევედრებით, ყველასა სძინავს, ყველა უარს მეუბნება, მეც მეშინიან—არ დამეძინოს, კი აღარ მახსოვს, როდის (6 ს. 54 წ.) [illegible] ჩანია, გალუცნობლივები მომ- 38 წ, ჩემო კარგო, ჩამოდგით ცალი ფეხი, ოჰ, ოჰ, ეგრე...

ექიმი მთლად გადაფითრებულიყო და ბარბა- [illegible] თავი, რომ მიედო დასაძინებლად, მგონი, რამდენიმე დღე და ღამე ზედი-ზედ ეძინებოდა. მე ფეხები მეკეცებოდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ დამეძინა, ვიდრე ერთბაშად, მოულოდნელად არ ვიცი, საიდან თვალწინ წარმომიდგა შავად ჩამწკრივებული ორთქლმავალი და ვაგონები, ირგვლივ დინჯად მოსიარულენი, წყნარნი და დადუმებულნი, ისე რომ ძლივს სჩანდნენ ამ წყვდიად სივრცეში. არსად არც ვაგონებში, არც თვით ორთქლმავალზე სანათურები არ იყო, მხოლოდ ორთქლმავალზე ქვეშიდან ანათებდა ოდნავ მოწითალო სინათლე, რომელიც იქვე ლიანდაგზე ეცემოდა.

— ეს რა არის?—ვკითხე მე და თან უკან დავიხიე.

— დაგავიწყდათ, რომ მატარებლით მივდივართ? მივდივართ,—წაიბუტბუტა ექიმმა.

ცივი ღამე იყო და იგი მთლად კანკალებდა სიცივისაგან, მე რომ ვუყურებდი. მეც ვგრძნობდი რაღაცას და ჟრუანტელი მივლიდა მთელს ტანში.

— ეშმაკმა კი წაგიღოთ!—დავიყვირე მე ხმამაღლა.—ვეღარავინ წამოიყვანეთ ჩემს მეტი?

— წყნარად, თუ შეიძლება, წყნარად—ექიმმა ხელი ჩამავლო.

სიბნელეში ვიღაცამ დაილაპარაკა.

— ყველა იარაღი რომ ერთად დასცალო ეხლა, არავინ არ გაინძრევა. იმათაცა სძინავთ. ეხლა შეიძლება ყველას ერთი ერთმანეთზე გადიბმა. ეს იყო ეხლა დარაჯს ჩავუარე გვერდზე, მან მარტო შემომხედა და არა მითხრა-რა, არც კი გაინძრა. ალბად, იმასაცა სძინავს. მიკვირს, რატომ არ იქცევა!

მოლაპარაკემ დაამთქნარა და იმისმა ტანისამოსმაც დაიშრიალა. ეტყობა, გაიზმორა. მე დავებჯინე გულით ვაგონის კიდეს. იმწამსვე ძილმა ამიტაცა. ვიღამაც ამწია უკანიდან და დამდო, მე კი რაღაცას ვიგერებდი მას წიხლებით და კვლავ დამეძინა, თითქოს ძილში მესმოდა ლაპარაკის ნაწყვეტები:

— მეშვიდე ვერსზე.

— სანათურები კი დაგავიწყდაო?

— არა. ის არ წავა.

— აქეთ მოიტა. ცოტა დაიწი. ჰო, ეგრე!

ვაგონები ინჯღრეოდა, რაღაც ბრახუნებდა. ნელ-ნელა ამ ბრახუნსა და იმაზე, რომ, ცოტა არ იყოს, კარგად მოვეწყე, ძილი დამეფრთხო. ექიმმა კი დაიძინა, მისი ხელი, მოშვებული და მძიმე, ძლიერ წააგავდა მკვდრისას. მატარებელი მიდიოდა ნელა და ფრთხილად, ოდნავ ჯაყჯაყებდა, თითქოს გზას ეძებსო. სტუდენტმა სანიტარმა აანთო სანთელი, განათა კედლები და კარების შავი ჭურღმული და გაჯავრებით სთქვა:

— რა ეშმაკად უნდა! ვითომ და ძალიან საჭირონი ვართ ეხლა ჩვენ იმისთვის! სჯობია, გააღვიძეთ, ვიდრე მაგრა არ დაუძინია, თორემ მერე ვეღარას გაწყობთ, ეს ჩემზე გამოცდილია.

ჩვენ გავაღვიძეთ ექიმი, იგი წამოჯდა მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვერ მიმხვდარა, რა ხდება ირგვლივ და ისევ დაწოლა, მაგრამ შევაჩერეთ.

— რა კარგი იქნებოდა ეხლა არყის გადახუხვა!—სთქვა სტუდენტმა. ჩვენ გადავუსვით თითო ყლუპი კონიაკი და ძილი სულ დაგვიფრთხა. დიდ, ოთხკუთხიანს კარებს გვერდის ფერი დაედო, მერე გაწითლდა, სადღაც შორს მთების იქით გამოჩნდა უზარ-მაზარი, დადუმებული გაროჟრაჟი: თითქოს ღამის წყვდიადში ამომავალმა მზემ იჩინა თავი.

— შორს არის. ოცი ვერსის მანძილზე.

— მცივა!—სთქვა ექიმმა და კბილი კბილს დაასცემინა.

სტუდენტმა გაიხედა კარებში და მიმითითა ხელით რაღაცაზე, მეც გავიხედე: აქა-იქ ცის კიდეზე გაჩენილიყვნენ ისეთივე უხმარნი, უძრავნი გაროჟრაჟები: თითქოს ათი-თორმეტი მზე ერთად ამოდიოდაო. ირგვლივ აღარ იდგა წყვდიადი. შორეული, მთლად ჩაშავებული მთები თავის მწვერვალებით შორს სივრცეში უსწორ-მასწოროდ, შავად გამოიყურებოდნენ, ახლოს კი სულ მოჭედილიყო წითლად, უძრავი, აღსავსე მდუმარებით და სიწყნარით. შევხედე სტუდენტს: იმისი სახეც შეღებილიყო წითელ სისხლის ფრად, გარდაქმნილი ჰაერად და სინათლედ.

— ბევრნი არიან დაჭრილები?—ვკითხე მე.

მან მხოლოდ ხელი დაიქნია.

— შეშლილები ბევრნი არიან. ბევრად მეტი, ვიდრე დაჭრილნი.

— ნამდვილი შეშლილები?

— მაშ როგორიღა?

შემომცქეროდა მე, მისი თვალები სავსე იყო იმ სიმხეცით, აღმაშფოთებელ საშინელებით, როგორითაც ის სალდათი, რომელიც გადაიცვალა წყეოი.

— გაჩერდით!—ვუთხარი მე და მოვბრუნდი.

— ექიმიც ჭკვაზე შემცდარია. აბა, შეხედეთ მას.

ექიმს არ ესმოდა. იჯდა ფეხ-მოკეცილი და ტოკავდა, უხმოდ ამოძრავებდა ტუჩებს და თითებს. იმის გამომეტყველებაშიაც იყო რაღაც შეჩერებული, გაშტერებული, ხლუნგი განცვიფრება.

— მცივა!—სთქვა მან და გაიღიმა.

— ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი და ტანი!—დავიყვირე მე და მივუჯექი კუთხეში.

— რათ დამიძახეთ მე?

— პასუხი არავინ მომცა. სტუდენტი იყურებოდა სივრცეში, სადაც სულ ღივდებოდა და ღივდებოდა გაროჟრაჟი. მისი ხუჭუჭა თმიანი კეფა სრულიად ნორჩი იყო, ისე რომ იმის შეხედვაზე თვალ-წინ მიდგებოდა ახალგაზრდა ქალის ხელი, რომელიც უალერსებდა იმის თმას. ეს წარმოდგენა ისეთი უსიამოვნო იყო ჩემთვის, რომ შემძაგრდა სტუდენტი და მეზიზღებოდა მისი ყურება.

— რამდენი წლისა ხართ?—ვკითხე მე, მაგრამ ის არც-კი მობრუნდა და უპასუხოდ დამტოვა. ექიმი კი სულ ტოკავდა.

— მცივა!

— როდესაც გავიფიქრებ,—სთქვა სტუდენტმა:—როდესაც გავიფიქრებ, რომ არის სადღაც ქუჩები, სახლები, უნივერსიტეტი…

მან შესწყვიტა, თითქოს სულ სთქვა, რაც უნდოდა, და გაჩუმდა. მატარებელი ერთბაშად შეჩერდა, ისე რომ მე თავი კედელს მივარტყი და მომესმა ხმაურობა. ჩვენ გადმოვხტით გარედ.

მატარებლის წინ ლიანდაგზე ეგდო რაღაცა პატარა გუნდა, საიდანაც გამოშვერილიყო ფეხი.

— დაჭრილია?

— არა, მოკლულია, თავი აქვს წაგლეჯილი. თქვენ როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, მე კი ავანთებ წინა სანათურს, თორე შეიძლება გავსრისოთ ვინმე.

გუნდა, გამოშვერილის ფეხით, გადააგდეს გვერდზე; ფეხი ერთბაშად ასტა ზევით, თითქოს დამოხს ჰაერში გაქცევას და ყველაფერი ჩაიმალა შავ ხრამში, აანთო სანათური და მატარებელი ერთბაშად გაშავდა.

— გაიგონეთ!—ჩუმის შიშით დაიჩურჩულა ვიღაცამ.—ახლოს როგორ ვერ გაიგეთ!

უფსკრულის მხრიდან მოისმა გულსაზარი კვნესა, წყნარი და თითქოს გულ-გრილი. ბევრი კვნესა-ყვირილი გაგვიგონია, მაგრამ ეს კვნესა სრულებით არ მიაგავდა წინად გაგონილს. ბუნდ, მოწითალო დედამიწის ზედა-პირზე თვალი ვერას არჩევდა, ამიტომ გვეჩვენებოდა, რომ კვნესის თვით დედამიწა ან ცა, ოდნავ განათებული ჯერეთ არ ამოსულ მზისაგან.

— მეხუთე ვერსი!—სთქვა მემანქანემ.

— ეს იქიდან არის!—სთქვა ექიმმა და მიგვითითა წინ. სტუდენტს გააჟრჟოლა და მობრუნდა ჩვენსკენ.

— რა არის ეს? ხომ არ შეიძლება იმისი გაგონება?

მივდივართ!

წავედით ფეხით მატარებლის წინ. ჩვენგან მთელ ლიანდაგს მთელი ჩრდილი; იგი შავი კი არ იყო, არამედ მოწითალო იმ წყნარ, უძრავ სი-

Доз. цен. Тифл 2737

იქნა გალავანში. სრულიად სომეხთა კათალიკოსი პანაშვიდის გადახდის დროს მთავარეპისკოპოსის სახლის აივანზე იჯდა. იქვე იყვნენ მაჰმადიანთა სამღვდელოების წარმომადგენელნი. პანაშვიდის შემდეგ ექვსმა-შვიდმა კაცმა, მათ შორის ქართველებმაც, სიტყვა წარმოსთქვა. ეს ამოდენა ხალხი აღტაცებით მიეგება ყველა სიტყვათ. შემდეგ ხალხი გაემართა მაჰმადიანთა მეჩეთსა და მერე სასაფლაოსკენ. აქ უფრო დიდებული სურათი იყო. აქაც წარმოითქვა სიტყვები. აქედან ხალხი უკან დაბრუნდა და გოლოვინის პროსპექტზე გაემართა.

✦ ბაქოში, როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, **ომიანობის დროის წესები** შემოუღიათ. საღამოს 8-დან დილის 6 საათამდე აღკრძალულია ქუჩაში გასვლა. დამნაშავეს გადახდება 500 მან. ჯარიმა ან სამი თვის დაპატიმრებით დაისჯება.

✦ ამას წინად **ბათუმში დაიკეტა ვაჟთა ადგილობრივი გიმნაზია.** 8 თებერვალს გიმნაზიის კარებზე გამოკრული იყო დირექტორის ბ-ნ ვინოგრადოვის შემდეგი განცხადება: „გიმნაზია დაიკეტა კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებლის განკარგულებით. მოსწავლენი უნდა გამოცხადდნენ სათითაოდ და თავიანთი საბუთის ქაღალდები გაიტანონ. ვისაც ჰსურს ხელ-ახლა შემოსვლა, აგვისტოში თხოვნას შემოიტანს დოკუმენტებთან ერთად და ეგზამენის დაჭერის შემდეგ მიიღება". ამის გამო ტფილისში ჩამოვიდა ბათუმის ქალაქის საბჭოს მიერ გამოგზავნილი დეპუტაცია, ქალაქის მოურავის თავ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით. გუშინ, 14 თებერვალს, დეპუტაცია წარუდგა მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს და სთხოვა დაკეტილ გიმნაზიის ხელ-ახლა გახსნა. ყოველ წელიწადს ქალაქი გიმნაზიაზე ხარჯავს 21,000 მან. ამას გარდა შენობა, რომელიც ქალაქმა აგო, დაჯდა 250,000 მანეთად.

✦ როგორც დაბა ქიათურიდან გვატყობინებენ, 12 თებერვალს სადგურს **შემოერტყა ათასამდის კაცი,** მაგრამ ჯარი დახვდა თოფებით ხელში და ხალხი წყნარად დაიშალა.

✦ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა და დეპუტატთა კრებამ ასი თუმანი გადასდო **ბაქოში დაზარალებულთა** დასახმარებლად.

✦ კვირას, 14 თებერვალს, ტფილისის ვაჭართა საზოგადო კრებამ ერთხმად გადასდო 3000 მან. **ბაქოში დაზარალებულთა სასარგებლოდ** განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

✦ როგორც ქუთაისიდან დეპეშით გვატყობინებენ, ქუთაისში ყველა **სასწავლე[illegible] დაკეტილია.**

✦ 1[illegible] თებერვალს, ასე დილის 7 საათი იქნებოდა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოს ეზოში ვიღამაც **რევოლვერი ესროლა** ხელოსანს გუსიევს. ტყვიამ მარტო ტანისამოსი აუტრუსა. იმავე დროს შიგნით, სადაც ვაგონის ცეხია, ესროლეს რევოლვერი ზეინკალს აფანჩენკოს. ტყვია ამასაც ასცდა. იმავე დღეს, საღამოს ცხრა საათზე, ორჯერ ესროლეს ტყვია სახელოსნოს ყარაულს ივანცევს. მასაც ასცდა ტყვია. მსროლელნი ვერ დაიჭირეს.

✦ დღეს, 15 თებერვალს, ახალ-ქალაქში საქმეების განხილვას შეუდგება ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სესია 22 თებერვლამდე გასტანს.

✦ კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული ერისთავისა გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმეს მადლობას ვუცხადებ ბაშკადიკლარის ბატალიონის უფროსს ბ-ნ კურინს, რომელმაც უსასყიდლოდ დაგვითმო მუსიკა თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 9 იანვარს გამართულ საცეკვაო საღამოსათვის; საზოგადო საკრებულოს მამასახლისთ—დარბაზის უფასოდ დათმობისათვის; თელავის მაზრის უფროსს ლ. კ. ზისერმანს, თავადთ ლევან ვახვახაშვილს, მიხეილ რუსიშვილს, მღვდ. აჯამამედოვს და დავით ზურაბიშვილს,—მოწყობაში დახმარების აღმოჩენისათვის. საღამოდან შემოვიდა სულ 418 მან. 83 კაპ., ხარჯი 178 მან. 80 კაპ., წითელი ჯვრის შესაწირავი—24 მან. დარჩა წმინდა 216 მან. 3 კაპ".

✦ როგორც საბუნჩიდან გვატყობინებენ, 13 თებერვალს სადგურის კანტორაში ჟანდარმმა სახნამ რევოლვერი გაისროლა. ტყვია მოხვდა მებუფეტე ლომატაძეს. ტყვიამ გულთან გაუარა და გავარდა მეორე მხარეს. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ „როსსია"-ს დამზღვევი საზოგადოებამ 100 მანეთი მისცა ქალაქის მოურავს ბაქოში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

✦ სად. მარელისი. 12 თებერვალს, ღამის 10 საათზედ, მე-153 ვერსზე, როდესაც საქონლის მატარებელმა გაიარა, ნახეს გასრესილი გვამი კონდუქტორის გიორგი გორმესაშვილისა.

✦ სად. ნავთლუხსა და აგტაგლიას შუა 12 თებერვალს ვიღაცას გაუხსნია საქონლის მატარებელი ვაგონი და 209 ფუთი სხვა და სხვა საქონელი გადმოუყრიათ.

გუშინ პოლიციის მე-10 ნაწილიდან მიხეილის სამკურნალოში მიიტანეს ვიღაც უცნობი კაცის თავმოჭრილი გვამი. გარეგნობითვე კაცი მუშათა წრეს ეკუთვნის. თავი არსად სჩანს. მიზეზი ვერ გავიგეთ და არც იციან, ვინ არის.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქალების საეპარქიო სასწავლებელი ამას წინად მომხდარ არეულობის გამო სასულიერო მთავრობის მიერ დახურულია ახალ განკარგულებამდის. სწავლა ფაქტიურად თითქმის ყველა სხვა სასწავლებელშიაც შეწყვეტილია: ამდენ ხანს არც მოწაფეები ეკარებოდნენ სასწავლებლებს და არც მასწავლებლები; ეხლა თუმცა სასწავლებლებში კი დადიან, მაგრამ მხოლოდ სათქმელად, ფორმისთვის; ნამდვილად კი არც პირველნი სწავლობენ რასმე და არც მეორენი ასწავლიან. ამ დღეებში ტფილისიდან ჩამოვიდა სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ბ-ნი ლოპატინსკი, რომელიც ჯერ-ჯერობით ვაჟთა გიმნაზიაში იძიებს არეულობის მიზეზს. 13 თებერვალს მას სურს მოიწვიოს გიმნაზიის დარბაზში მოწაფეების მშობლები, რომ მათთან ერთად მსჯელობა იქონიოს შესახებ იმისა, თუ რა ღონისძიება უნდა იქმნეს მიღებული ამ არეულობის მოსასპობად. ამბობენ, გიმნაზიელებს ბ-ნ ლოპატინსკისათვის სხვა-და-სხვა მოთხოვნები წარუდგენიათ.

✦ ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ეხლა კარგად არის და 14 თებერვლიდან კიდეც შეუდგება თავის თანამდებობის ასრულებას.

გაზეთ «ცნობის ფურცელზე» ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიჭრონ ის ნომერი, რომელიც ადრესზედ დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი" ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კ. პ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

✦ საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე უკვე განიკურნა ჰრილობისაგან და მალე დაუბრუნდება სამსახურს.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მთავრობას განუზრახავს ეხლავე გახსნას სასწავლებელში მეხუთე პროგიმნაზიული კლასი, მხოლოდ უცდიან სამინისტროსაგან ოფიციალურს ნებართვას. ეს ნებართვა კი, როგორც გავიგეთ, თან მოაქვს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. ს. დ. წერეთელს, რომელიც ორის კვირის წინად უნდა გამოსულიყო პეტერბურგიდან, მაგრამ ჯერაც არ ჩამოსულა. ესეც კიდევ ახალი დაბრკოლება.

✦ საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებას 13 თებერვალს შემდეგი განსახილველი საკითხები აქვს.

1. ზედამხედველ კომიტეტის ახალ წევრების არჩევა; 2. კითხვა შესახებ იმისა, რომ ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობას მიენიჭოთ უფლება ორი ახალი წევრი მიუმატონ დამფასებელ კომისიას; 3. შუამდგომლობის აღძვრა ფინანსთა სამინისტროს წინაშე ბანკის წესდების იმ ზოგიერთ მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ, რომელნიც დღემდის შეუწყნარებელნი დარჩნენ სამინისტროსაგან. ეს მუხლები შეეხება: ა) ბანკის სამოქმედო ასპარეზის გაფართოვებას; ბ) გძელ ვადიან სესხის გაცემას იმ დაბებსა და სოფლებში, რომელნიც თავიანთ ხასიათით ქალაქებს წააგავან; გ) რომ მსესხებელს არ მოეთხოვოს ახალი გირავნობის მოწმობის წარდგენა, როდესაც ერთი და იგივე მამული მეორეჯერ გირავდება (ამ მუხლის შესახებ ამის მეტად არ ყოფილა აღძრული შუამდგომლობა); დ) რომ მიენიჭოს ბანკს ვალის გადახდის უფლება ბირჟაზე ნაყიდ გირავნობის ფურცლებით, ნაცვლად ტირაჟის მოსპობისა; ე) რომ დამფასებლებად ირჩეოდნენ როგორც ბანკის საზოგადოების წევრთაგანნი, ისე ბანკის რწმუნებულთაგანნი; 3) შესახებ იმისა, რომ სამინისტროს მიერ განსაზღვრული სოხუმის ოლქის მიწების ფასი გადიდებულ იქმნეს და აგრეთვე რომ ბანკი ვალდებული არ იქმნეს უსათუოდ იხელმძღვანელოს იმავე სამინისტროსაგან განსაზღვრულ მიწების ფასებით ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა მაზრებში; ზ) რომ დაუდევარ მსესხებლებსა და თვითონ ბანკს შეუმცირდეს სავალდებულო საპუბლიკაციო ხარჯები; თ) რომ სესხად მიეცეს საადგილ-მამულო ბანკის სათადარიგო თანხიდან 75 ათასი მანეთი საკუთარის სადგომის ასაგებად, ან აშენებულის საყიდლად, იმ პირობით, რომ ბანკმა ეს ვალი ნაწილ-ნაწილად იხადოს წლიური მოგებიდან.

ბაქოს ამბები

გუშინ, 14 თებერვალს, ტფილისის ქალაქის მოურავმა დეპეშები გაუგზავნა ბაქოს გავლენიან პირებს თაგიევს, გუკასოვს, ბაქოს ქალაქის მოურავს, ვიზიროვს, არუთინოვს, მელიქოვს და სხვათ შემდეგის შინაარსისა: „ტფილისის მცხოვრებთა წარმომადგენლების შუამდგომლობის თანახმად, კავკასიის მთავარმართებელმა ბაქოში მშვიდობიანობის დასამყარებლად სთხოვა გენერალ-ადიუტანტს თავ. ი. გ. ამილახვარს ბაქოში წამოსვლა. თავ. ამილახვართან ერთად მოემგზავრებიან წარმომადგენელი სომეხთა კათალიკოსის ხრიმიანისა და მაჰმადიანთა. გთხოვთ ტფილისის მცხოვრებთა სახელით შეაერთოთ ბაქოელები აქედან გაგზავნილ წარმომადგენელთა სათანადოდ შესახვედრად. მოუთმენლად მოველით შედეგს ასეთის კეთილშობილურ მისიისას." გუშინ, 14 თებერვალს, გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს საწინააღმდეგო არა აქვს-რა ქალაქის გამგეობამ გამართოს ხელის მოწერა დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულის მოსაკრებად.

ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება **ბაქოში დაზარალებულთა** სასარგებლოდ 3000 მან. გადადების შესახებ.

ტფილისის ქალთა და ვაჟთა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებმა ადრესი წარუდგინეს ქალაქის მოურავს და ულრმესი მწუხარება გამოაცხადეს **ბაქოში მომხდარ უბედურებისა გამო.**

რუსეთის ქრონიკა

საერო კრება (ზემსკი სობორი). როგორც „სლოვო" იტყობინება, საერო კრების მოწვევა გადაწყდა 3 თებერვალს. კრებაში უნდა იქნენ ყველა წოდებათა წარმომადგენლები. კრების მოწვევის გამოცხადებას 19 თებერვალს ელიან. სხდომები სახელმწიფო საბჭოში იქნება გამართული. როგორც ჰფიქრობენ, ორ თვეზე ადრე ვერ მოასწრებენ იმის საბოლოო გამორკვევას, თუ რა წესით უნდა მოხდეს კრების წევრების არჩევანი.

„ნოვოსტ"-ში სწერია: უცხოეთის გაზეთებში დაიბეჭდა, ვითომც საერო კრების დებულების შემუშავება მინდობილი ჰქონდეს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ა. ს. ერმოლოვს და ვითომც პროექტიც უკვე შედგენილი იყოს. ეს ხმა მოკლებულია ყოველ საფუძველს: ერმოლოვს არავითარი პროექტი არ შეუდგენია; საერო კრების პროექტის შედგენა მინდობილი აქვს ექვს-წევრიან საგანგებო კომისიას.

სტუდენტების გაფიცვა. „სლოვო"-ს სიტყვით, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს არ მიჰმართოს რეპრესიულ ღონისძიებას სტუდენტების გაფიცვის გამო: მშვიდობიანის გზით ეცდებიან სწავლის განახლებას; უნივერსიტეტების გახსნას ჰფიქრობენ 15 თებერვალს და თუ სტუდენტები არ მოვიდნენ, პირველსა და თხუთმეტ მარტ[illegible]ცდი ამასვე.

როგორც ვიცით, ყველგან [illegible]ტუდენტების დიდი უმრავლესობა წინააღმდეგია სწავლის დაწყებისა.—წელს პირველ სექტემბრამდე ყველა მაღალი სასწავლებლები დაკეტილი იქნება.

მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი. უმაღლესის ბრძანებით, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორობა აღარ არსებობს ეს ერთი ხანია. ეხლა, როგორც „სლოვო"-ს შეუტყვია, განზრახულია ისევ გენერალ-გუბერნატორობის შემოღება და საზოგადოებაში ხმაა გავრცელებული, რომ ამ თანამდებობაზე ინიშნება კარგად ცნობილი გენერალი ა. ი. კოსიჩი, სარატოვის ყოფილი გუბერნატორი, ეხლა ყაზანის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსი. კოსიჩს იცნობენ როგორც კაცთ-მოყვარე და გულ-კეთილ ადმინისტრატორს.

პეტერბურგის ფაბრიკა-ქარხნების პატრონები შეკრებილან და შემდეგ შინაარსის განცხადება მიუციათ ფინანსთა მინისტრისათვის: ყველაფრიდან სჩანს, რომ მთავრობა მუშების მღელვარებას ხსნის მხოლოდ მათის ეკონომიურის მდგომარეობით. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. სავსებითაც რომ დააკმაყოფილონ მუშები, შეუძლებულია ჩამოვარდეს ნამდვილი მშვიდობიანობა, რადგან მუშების მოძრაობა ატყდა იმიტომ-კი არა, რომ მათ შეიგნეს თავიანთი ცუდი ეკონომიური მდგომარეობა. მოძრაობის წყარო არის ის წრე, რომელიც გარს არტყია მუშას. მუშების გამოყოფა და დათმობით მათი დამშვიდება შეუძლებელია, როცა ირგვლივ ყველაფერი მღელვარებს. მთავრობამ დღეს იცის, რომ უკმაყოფილება მოდებულია რუსის საზოგადოების ყველა წრეებში: პრესსა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები სტუდენტებითა და პროფესორებით, ერთის სიტყვით, ყველა ამჟღავნებს საერთო სატკივარს: დაავადებულია ცენტრალური ორგანოები, დაავადებულია მთელი ორგანისმი და ეს საბუთია იმისი, რომ სატკივარს ღრმა და სერიოზული საერთო მიზეზი აქვს. თუ მუშების მღელვარება საგანგებო ყურადღებას იქცევს, ეს იმიტომ, რომ ერთბაშად დიდი ხალხი იღებს მონაწილეობას მოძრაობაში და ეს მოძრაობაც უფრო ძლიერია; მღელვარება კი ყველგან არის და რაც დრო მიდის, უფრო და უფრო ძლიერდება. არ შეიძლება იმის აღუნიშვნელობაც, რომ ადმინისტრაციის ჩარევა საქმეში კიდევ უფრო ამწვავებს საქმეს... 26 იანვრის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა გამოსთქვა სურვილი, რომ საქმის პატრონები, საკანონმდებლო მუშაობის დაწყებამდე, შეუდგნენ საერთო ღონისძიებათა შემუშავებას მუშათა მოთხოვნების შესახებ; მაგრამ მექარხნე-მეფაბრიკენი იმ აზრის არიან, რომ ამ გზით მუშების დამშვიდება შეუძლებელია, თუნდა მთელი საფაბრიკო კანონმდებლობა შეიცვალოს. ერთად-ერთი ნამდვილი საშუალება მუშების მოძრაობის დამშვიდებისა მომავალში უფრო ღრმა, სახელმწიფო ხასიათის რეფორმებია. („რ. ვ.").

კ. პობედონოსცევი, ობერ-პროკურორი უწმინდესის სინოდისა, ეხლა უკეთ არის

ნათლისაკენ, რომელიც დაღუმებული მოჰფენდა აქა-იქ შავად მოცულს ცას. თან და თან ძლიერდებოდა ის საზარელი მხეცური კვნესა, რომელსაც არა ჰქონდა დასაწყისი—არ ვიცოდით საიდან მოისმოდა იგი, თითქოს კვნესოდა ეს წითელი ჰაერი, ან ცა და მიწა. თავის დაუსრულებლობით და გულ-ცივობით იგი გვაგონებდა ხან-და-ხან ჭრიჭინას—მოუღალავად მოჭრიჭინეს მინდვრებში გაზაფხულზედ. ეხლა უფრო ჩქარ-ჩქარა გვხვდებოდნენ მკვდრები—ცოტა ხნის სინჯვის შემდეგ ჩვენ ვაგდებდით მათ ლიანდაგიდან—წყნარნი, მოდუნებულნი არჩენდნენ იმ ადგილზე, სადაც ეყარნენ, შავს, ქონიან, სისხლიან ლაქებს. ჯერეთ ვთვლიდი მათ, მაგრამ მერე სათვალავი აგვერია და მივანებეთ თავი. ბევრნი, ძლიერ ბევრნი იყვნენ ისინი ამ ბოროტ ღამეებისათვის, რომელიც თითქოს სუნთქავდა სიცივით და კვნესოდა ყოველივე თავის არსებით ნაწილით.

— რა არის ეს? ჰკვირობდა ექიმი და ვიღაცას მუშტით ემუქრებოდა. უფრო მივდეთ.

ვუახლოვდებოდით მეექვსე ვერსს და კვნესა უფრო გარკვევით, უფრო მკაფიოდ ისმოდა, ვგრძნობდით იმ დამახინჯებულ პირებს, საიდან ისინი ამოდიოდნენ. ჩვენ ვთრთოდით, ვაშტერდებოდით იმ ვარდის-ფერს, მაცდურს ბინდს, მოცულს საოცნებო სინათლით. მაშინ იქვე, თითქმის გვერდით ლიანდაგთან ვიღაცამ დაიკვნესა, თითქოს იწვევს ვისმეს საშველად. ჩვენ მაშინათვე ვიპოვნეთ ის დაჭრილი, რომელსაც პირი-სახეზედ მარტოოდენ თვალები-ღა ჰქონდა—ძლიერ დიდრონებად მეჩვენნენ ისინი, როდესაც მოჰხვდა მის სახეს სინათლე. მან შეაწყვიტა კვნესა, ყოველს ჩვენგანს ჯერჯერათ გადაავლო თვალები, მიაცქერდა აგრეთვე სანათურს. მის გამომეტყველებაში იყო უგუნური სიხარული იმისა, რომ ჰხედავდა ხალხს და სანათურებს, აგრეთვე უგუნური შიში იმისა, რომ ს[illegible]ფერი ეს ეხლავე გაქრება, [illegible] მოჩვენება. ვინ იცის, რამდენჯერ მოელანდა დახრილი [illegible] სანათურებით და უმალ გაჰქრა იგი ამ სისხლიან და აღშფოთებულ კაეშანში.

ჩვენ განვაგრძეთ გზა და იმ წამსვე წავაწყდით ორს დაჭრილს: ერთი იწვა ლიანდაგზე, მეორე კი კვნესოდა ხრამში. როდესაც ისინი გადავჰქონდით, ექიმმა მთრთოლვარემ მრისხანებისაგან მკითხა.

— ჰა, რა ჰქენით?

და მიბრუნდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ჩვენ შევხვდით მიმავალს მსუბუქად დაჭრილს, რომელსაც ცალი ხელით ეჭირა მეორე. იგი მოძრაობდა უკან თავგადადებული, მოდიოდა პირდაპირ ჩვენზე და თითქოს ვერ შეამჩნია, როდესაც ჩვენ გავიწიეთ და მივეცით გზა. მგონია, ის ჩვენ ვერა ჰხედავდა. ორთქლმავალთან იგი ცოტახანს შედგა, აუქცია გზას და წავიდა ვაგონების გვერდით.

— შენ რომ დაჯდე, ისა სჯობია.—მიაძახა ექიმმა, მაგრამ მან არაფერი უპასუხა. ამ პირველებმა დაგვცეს შიშის თავზარი. მერე კი ფრო ხშირ-ხშირად გვხვდებოდნენ ისინი ლიანდაგზე და მის გარშემო მინდორზე, რომელიც ავსილი იყო წითელ მძიმე ცეცხლის ალით. ვით სულ-დგმული, დაფაცურდა მინდორი, აენთო წივილ-კივილით, კვნესა-ოხვრით, წყევლა-კრულვით და ვაი-ვაგლახით. მთლად შავი გორაკები ფაცურობდნენ და ცოცავდნენ, ვით მძინარე კიბოები, გამოშვებულები კალათიდან, [illegible] და უცნაურები, ისე რომ ძლივს-ღა ემსგავსებოდნენ ადამიანს თავისი მოუხეშავ ბუნდ მოძრაობით და უკმეხ ზლაზვნით. ზოგნი ემორჩილებოდნენ ხმა ამოუღებლივ, ზოგნი კი ღრიალებდნენ, კვნესოდნენ, იღანძღებოდნენ და ისე საშინლად ვეზიზღებოდით ჩვენ, ვინც ვცდილობდით მათ გადარჩენას, თითქოს ჩვენი შექმნილი ყოფილიყოს ეს სისხლით სავსე, გულ-ცივი ღამე, ეს მათი მარტოობა მკვდრებს შორის ამ საშინელ ღამეში, და ეს აუტანელი ჭრილობები. ვაგონებში ადგილი აღარ იყო, ჩვენი ტანისამოსი მთლად გაჟღენთილიყო სისხლით, თითქოს დიდ-ხანს ვდგომილიყავით ჩვენ სისხლის წვიმაში, დაჭრილები კი სულ მოგვქონდათ და მოგვქონდათ და ისე მხეცურად ფუსფუსებდა ახმაურებული მინდორი.

ზოგნი თვითონ მოცოცავდნენ, ზოგნი მოდიოდნენ, ბარბაცობდნენ და ეცემოდნენ. ერთმა სალდათმა სწრაფად მოირბინა ჩვენთან. თავი სრულიად ჩაჩეჩქვილი ჰქონდა და დარჩენოდა მარტოოდენ ცალი თვალი, ანთებული მხეცურის საშინელებით. იგი სრულიად ტიტველი იყო, თითქო ეს არის აბანოდან გამოსულაო. წამკრა მუჯლუგუნი, შეამჩნია ცალი თვალით ექიმი, და აჩქარებით ჩაავლო მარცხენა ხელი გულში.

— მე შენ ცხვირ-პირს ამოგინავავ!—დაუყვირა და დაუწყო ექიმს ნჯღრევა, თან გძელი და მკაცრი ცინიკური გინება დაურთო:—ცხვირ პირს ამოგამტვრევ! თქვენ არამზადებო!

ექიმმა გაითავისუფლა თავი. მიიწია ახლოს და გაავფთრებულმა დაჰკივლა:

— მე შენ სამართალში მიგცემ, შე უმადურო; კარცერში ამოგალპობ! შენ მე მუშაობას მიშლი! უმადურო! ნადირო!

ისინი გააშველეს, მაგრამ სალდათი კიდევ დიდხანს ჰყვიროდა: „არამზადებო! მე შენ ცხვირპირს ამოგამტვრევო!"

ძალ-ღონე აღარ შემწევდა, განზედ გავდექი დასასვენებლად და თამბაქოს მოსაწევად. გამხმარ სისხლისაგან თითებს ვეღარა ვხმარობდი, ხელებზედ თითქოს შავი ხელთათმანები მქონოდეს, ისე რომ თამბაქო და წუმწუმა ხელიდან მცვივდებოდა. როდესაც ვაი-ვაგლახით მოვწიე თუთუნი, მისი ბოლი მეჩვენა საუცხოვოდ, სრულიად სხვა გემოსი, როგორიც არ მეგემა არც წინად და არც შემდეგ. აქ მომიახლოვდა სტუდენტი-სანიტარი, ის, ჩვენთან რომ ერთად მოდიოდა, მე ის დიდი ხნის ნაცნობად მეჩვენა. თითქოს მინახავს რამდენიმე წლის წინად სადღაც, მაგრამ ვერას გზით ვერ მომოგონია—სად. მედგრად მიაბიჯებდა და გაიუგრებოდა სადღაც ჩემს იქით შორს და მაღლა სივრცეში.

— ამათ კი სძინავთ,—სთქვა მან, თითქოს სრულიად გულდამშვიდებით.

მე გავცხარდი, თითქო მე მისაყვედურებდა.

ის კი გაგიწყდებათ, რომ ისინი ათი დღე ლომებსავით იბრძოდნენ!

— ამათ კი სძინავთ,—გაიმეორა მან, გაიხედა შორს ჩემს იქით მაღლა სივრცეში, მერე დაიხარა ძირს და მუქარით, თითის ქნევით ცოცხლად და დინჯად განაგრძო:—მე თქვენ გეტყვით, თქვენ გეტყვით!

— რას?

— ის უფრო ძირს იხრებოდა, დიდმნიშვნელოვნად მემუქრებოდა თითის ქნევით და იმეორებდა, თითქოს სრულიად მოგანდო თავისი აზრით.

— მე თქვენ გეტყვით, თქვენ გეტყვით. გადაეცით იმათ.

სულ ისევ ისე მრისხანედ განაგრძობდა ყურებას, ერთხელ კიდევ დამემუქრა თითის ქნევით, ამოიღო დამბაჩა და დაიცა საფეთქელში. მე არც გავკვირვებივარ და არც შევშინებივარ. პაპიროსი მარჯვენა ხელიდან გადავიღე მარცხენაში, გავუსინჯე იარა და გავწიე ვაგონებისაკენ.

— სტუდენტმა თავი მოიკლა, თუ არა—მგონია, ჯერ ისევ ცოცხალია.—ვუთხარი მე ექიმს—მან წაიტანა თავზედ ხელები და დაიკვნესა:

— აჰ, ეშმაკმა იცის იმისი თავი!... ადგილი ხომ აღარა გვაქვს. აგე, ისიც ეხლავ მოუღებს ბოლოს თავის თავს. გაძლევთ პატიოსან სიტყვას—მან დაიყვირა გაჯავრებით და მუქარით.—მეც! ჰო, ჰო! გთხოვთ, თქვენ ქვეითათ წაბრძანდეთ. ადგილი არ არის. შეგიძლიანთ იჩივლოთ, თუ გსურთ!

იგი გაბრუნდა და სულ ჰყვიროდა. მე კი მივედ იმასთან, ვინც აპირებდა თავის მოკვლას. ისიც სანიტარი იყო, მგონია, სტუდენტი. ვაგონის კედელზედ მიებჯინა შუბლი და მხარი უთრთოდა ქვითინისაგან.

— ბედოფშათ.—ვუთხარი მე და შევეხე მის მთრთოლვარე მხარს, ის არ მობრუნდა, არა მიპასუხა რა და ტიროდა. კისერი ჰქონდა ისეთივე ნორჩი და საშინელი, როგორც [illegible]დენტს. იგი იდგა ისე, როგორც დგანან ხოლმე მთვრალები, როდესაც პირიდან აღებინებთ; კისერი მთლად სისხლში ჰქონდა მოსვრილი, ალბად, სისხლიან ხელის ხლების გამო.

— ჰა?—ვკითხე მოუთმენლად.

იგი მოშორდა ვაგონს, დახარა ძირს თავი, ბებრულად მოიკუზა და წავიდა სადღაც მოშორებით სიბნელეში. არ ვიცი რისთვის, მაგრამ მეც წავყევი, დიდხანს მივდიოდით. სულ საითღაც განზედ, ვაგონების მოშორებით, მგონია, ისა ტიროდა. მეც დავდონდი და მომინდა ტირილი.

— შესდექით.—დავიყვირე მე და დავდექი.

ის მიდიოდა ნელის ნაბიჯით, მოკუზული. ვიწრო მხრებით და მოფრატუნე სიარულით იგი მიაგავდა ბებერს. ჩქარა ჩაი[illegible] ბინდში, რომელიც ემსგავსებოდა [illegible] კი არას ანათებდა. დავრჩი მარტო.

ჩემს მარცხნივ, შორს, შორს გასცურა რამდენიმე რაგმა ბუნდოვანმა სინათლემ მატარებელმა გაიარა... მე ვიყავი მარტო ამ მკვდრებსა და მომაკვდავთა შორის.

რამდენი დარჩა კიდევ? ჩემს გარშემო ყველაფერი უძრავად და მკვდრად იყო, შორს-კი მინდორი ფუსფუსებდა, ვით სულდგმული—იქნება მე ეს მომეჩვენა იმიტომ, რომ მარტო ვიყავ. მაგრამ კვნესა არა მცირდებოდა. იგი ეფინებოდა დედამიწას თხლად, უიმედოდ, ბალღის ტირილის მსგავსად, [illegible] ბულ ლეკვების წკნავილის მსგავს[illegible] ბასრი, დაუსრულებელი ყინულის[illegible]ბოდა იგი ტვინში და ნელ-ნელ მიმოსვლიდა წინ და უკან, წინ და უკან..

თურმე, მაგრამ ყოველი შრომა სასტიკად აკრძალული აქვს ექიმისაგან. („რ. ვედ.“).

წერილები

ქ. განჯა. ბაქოს ხმამ აქაც მოაღწია, აქაც ყალხზე დგანან სომხები და თათრები. ბევრი რამ ცუდია მოსალოდნელი. ამ თვის ცხრაში ოთხს სომეხს გამოსჭრეს ყელი.

ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიაში მოსწავლეებმა სწავლა შესწყვიტეს ორის დღით. პედაგოგიურმა კრებამ, რომელზედაც იყვნენ მიწვეულნი აგრეთვე მშობლებიც, დააკმაყოფილა ყოველივე, რასაც მოსწავლენი თხოულობდნენ. ეს მოთხოვნანი უმთავრესად შეეხებოდა გიმნაზიის შინაგან ცხოვრებას. სხვათა შორის აღუთქვეს იშუამდგომლონ ადგილობრივ (მათ შორის ქართულისაც) ენების სწავლის შემოღებაც. სწავლა შეწყვეტილი იყო აგრეთვე ქალთა გიმნაზიაშიაც, მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს საწადელს. სახელოსნო და სამოქალაქო სასწავლებლებში დღესაც არა სწარმოებს სწავლა.

25 თებერვლისთვის ამზადებენ ქართულ წარმოდგენას საქველმოქმედო აზრით, სად. განჯის თეატრში ქ-ნ ზედგინიძის მეთაურობით. განზრახულია აგრეთვე ქართული საღამო „წერ. კით. გამ. საზ.“ სასარგებლოდ.

ამას წინად „ივერია“-ში წავიკითხე დიდი წერილი ამ პაწია საქმეზე ვიღაც დროებით განჯელისა; ღმერთმა ქნას მისი წინასწარმეტყველება აღსრულდეს და მალე გაიმართოს ეს საღამო; რაც შეეხება ლანძღვას, როდესაც მე თქვენს გაზეთში ამ თვენახევრის წინად ეჭვს ვაცხადებდი საღამოს გამართვის შესახებ, ამაზე მე კადნიერ ბატონს ვერ ვუპასუხებ. ყველა გაზეთს არა სცალიან, მეტადრე ჩვენს დროში, უწმაწურ ლანძღვის ბეჭდვისათვის. სწორე მოგახსენოთ, არც მე მემეტება ამისთვის გაზეთის ფურცელი. ჩემი ეჭვი მაშინ საფუძვლიანი იყო და ვშიშობ, ეხლაც საფუძვლიანი არ გამოდგეს. მით უმეტეს, რომ დროებით განჯელს ხასიათად აქვს, როცა რომელიმე ქართველი მოსწავლე ქალი პიანინოს დაუკრავს გიმნაზიაში და მას ტაშს უკრავენ თვისი მშობლები, ეს მაშინვე გძელს კორესპონდენციებს ბეჭდავს უწყებულს გაზეთში, საქართველო აყვავდა, გიმნაზიაში ქართველი მოსწავლე ქალი პიანინოზე უკრავსო. მგონი, შეიძლება ამეების შემდეგ ვიქვა კორესპონდენტის სიმართლეზე. ვისურვებ-კი, რომ ჩემი ეჭვი არ გამართლდეს.

ისმაილ.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მივმართო ქ. ტფილისის მცხოვრებთ თხოვნით, აღმოუჩინონ დახმარება ფულით, სხვა-და-სხვა ნივთითა და სურსათით იმ უბედურ ბაქოელთ, რომელნიც დაზარალდნენ უკანასკნელ საშინელ ამბების დროს.

ის ცხოველი თანაგრძნობა, რომლითაც ტფილისის საზოგადოება მიეგება ბაქოელების უბედურებას, მაიმედებს, რომ ეს ჩემი მოწოდებაც თანაგრძნობით იქმნება ყველასაგან მიღებული.

შემოწირულებათა გამოგზავნას ვითხოვ ჩემს ბინაზე, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 79.

შემოწირულებათა დაწვრილებითი ანგარიში, შემომწირველთა სიასთან ერთად, დრო-გამოშვებით დაიბეჭდება ადგილობრივს გაზეთებში. ტფილისის ქალაქის მოურავის მეუღლე ბარბარე ალექსანდრეს ასული **ვერმიშევისა.**

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

14 თებერვალი.

ვლადივოსტოკი, 13 თებერვალი. (საკუთ. კორესპ.). ტოკიოდან გამოგზავნილი დეპეშა, ვითომ ათი გემი ქვა-ნახშირითა და საკვებ სურსათით დატვირთული, ვლადივოსტოკს ახლო ყინულებში გაიჭედა,—განგებაა შეთხზული, ისე როგორც სხვა ამნაირი ცნობებიც. ამ ცნობებს განგებ ავრცელებენ, რომ დაზღვევის პრემიებს მოემატოს.

კრონშტადტი, 13 თებერვალი. 15 თებერვალს ჯავშნიან გემების „სლავა“-სა და „იმპერატორ ალექსანდრე II“-ს, კრეისერების „პამიატ აზოვა“-სა, „ადმირალ კორნილოვ“-ისა, „აზი“-ისა, „აბრეკ“-ისა, „ვოევოდ“-ისა და „პოსადნიკი“-ისა, ნაღმიან გემების „რეტივი“-სა, „პოდვიჟნი“-სა, „პარაჟაიუშჩი“-სა და „პოსლუშნი“-სა, ტრანსპორტების „ხაბაროვსკი“-სა, „კრასნაია გორკა“-ს და სხვების შეიარაღებას შეუდგებიან.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, 13 თებერვალს 1905 წელს: „ამ წუთს მოხსენება მივიღე, რომ იაპონელებმა გაოტულინსა და ფანფულინს ზარბაზანი დაუშინესო“.

მოსკოვი. როგორც სარწმუნოდ უწყებიან, 11 თებერვალს დიდი მთავრინა მისულა მკვლელთან და უკითხნია, რად მოჰკლა მან მისი მეუღლე. მკვლელს უპასუხნია: „მე შევასრულე სარევოლუციო კომიტეტის სურვილი“-ო. დიდ მთავრინას უკითხნია: „ღმერთი გრწამთო“?—მკვლელმა უპასუხა; „მრწამსო“; მაშინ მთავრინამ მისცა მკვლელს პატარა ხატი და უთხრა; „მე შემინდვია თქვენთვის. ღმერთი გაგასამართლებთ მთავარსა და თქვენ, მე კი ვიშუამდგომლებ, რათა მოგანიჭონ სიცოცხლეო“. მკვლელს ქვითინი აუტყდა.—13 თებერვალს, დილის 8 საათზე, მოვიდა მოსკოვში გენერალი სტესელი. დახვედრა ნამდვილი სადღესასწაულო იყო. პორტ-არტურის დამცველს, თუმცა ადრე იყო, აუარებელი ხალხი მოელოდა. მატარებლის მოსვლის დროსთვის შეიკრიბნენ მოსკოვის გუბერნატორი, გრადონაჩალნი, თავად-აზნაურობა, გუბერნიის მარშალი თავადი ტრუბეცკოი, საგრენადერო დივიზიის უფროსი, როსტოვის პოლკის ოფიცრები, კადეტთა ჯგუფი, მოსკოვში მყოფი პორტ-არტურის დამცველები, გენერალ სტესელის შვილი და პორტ-არტურლების ნათესავები, რომელთაც სურდათ პირადათ სტესელიდან გაეგოთ თავიანთ ახლო ნათესავების ბედ-იღბალი. როცა გამოჩნდა საგანგებო მატარებელი, ხალხმა ქუდები მოიხადა და გაისმა „ურა“. გამოდის ვაგონიდან გენერალი, პირის სახე დაქანცული აქ, მაგრამ იღიმება, მხიარულია. ტანზე ძველი გახუნებული შინელი აცვია. შემდეგ გამოდის საშინლად უბრალოდ ჩაცმული ქალი, ტანზე აცვია გახუნებული პალტო, უბრალო შავ შლიაპაზე ახურავს ნაქსოვი შალის თავ-მოსახვევი; ეს სტესელის მეუღლეა. ყველანი მათ მისცვივდებიან. გაისმის „ურა“-ს ძახილი. ორკესტრი დაუკრავს. ხალხში მიდის როსტოვის ოფიცერთა ჯგუფი. პოლკის კომანდირი, ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი სიმანსკი, სიტყვით ეგებება გენერალს. მიესალმება აგრეთვე გუბერნატორი და გრადონაჩალნიკი; თავადი ტრუბეცკოი და დეპუტაცია მიართმევს ვერცხლის ლანგარს ზედწარწერით: „პორტ-არტურის თავ-განწირულ დამცველებს, პურ-მარილი. ხალხი მხურვალე მონაწილეობას იღებს ოვაციებში. სტესელი მხურვალე მადლობას უცხადებს ყველას: მან სთქვა, რომ გულის სიღრმემდი მწვდება ყველას ყურადღება, და განსაკუთრებით კი ხალხისა, ეს ყურადღება დამამტკიცებელია, რომ ხალხსა და არმიას შორის შეურყეველი ერთობაა. პორტ-არტურელების ნათესავებს გენერალი დაწვრილებითი პასუხს აძლევს და ყველას აკვირვებს თვისი დიდის მეხსიერებით. ერთი მანდილოსანი ძმის სიკვდილს იგებს და გული მისდის. ლაპარაკის დროს სტესელმა შენიშნა, რომ მეტად ბევრი დაიღუპა ზაურიადპრაპორშჩიკებში. იგინი ოფიცრის ჩინის მიღებისთანავე უმაგალითო სიმამაცეს იჩენდნენ, მიდიოდნენ წინა ადგილებში და „ურას“ ძახილში ლევდნენ სულსო. გენერალი მეუღლიოურთ „მოსკოვის სასტუმრო“-ში წავიდა; იქ დარჩება სადამომდე და მერმე პეტერბურგს გაემგზავრება. კორესპონდენტების სიტყვით, სტესელმა მთელი რუსეთი ოვაციებით გაიარა. ამ ოვაციებში განსაკუთრებით ხალხი იღებდა მონაწილეობას.

მოსკოვი, 13 თებერვალი. რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებამ გადასწყვიტა, ლიტერატორთა კრებაზე ვიშუამდგომლოთ, რომ წინდაწინი და დამსჯელი ცენზურა სულ გაუქმდესო.

ვარშავა, 13 თებერვალი. პარასკევს სადამოს ალექსანდრის ქუჩაზე ორმა ახალგაზდა კაცმა ექვსჯერ ესროლა რევოლვერი იმათ წინ მიმავალ პოლიციელებს შველკოსა და ორლოვსკის. ორივე მძიმედ დასჭრეს და ბოროტ-მოქმედნი და[illegible]ნენ.

ლოძი, 13 თებერვალი. მატარებელთა მოძრაობა კალიშის გზაზე აღადგინეს. როცა მატარებლები არ დადიოდა. ფოსტა ცხენებით მოჰქონდათ.

ხარკოვი, 13 თებერვალი. დღეს გაზეთები გამოვიდა. ხვალ სტამბები წესიერად დაიწყებენ მუშაობას.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

14 თებერვალი.

სახეტუნი, 13 თებერვალი, დილის 7 საათი. გუშინ დილით ცინხეჩენის რაზმმა დაიწია სანლუნიუს პოზიციისაკენ და მოწინავე ჯარით გამაგრდა უღელტეხილებზე, პოზიციის წინ. საღამოზე იაპონელების მოწინავე რაზმები მიუახლოვდნენ უღელტეხილებს, ბრძოლა კი არ დაუწყიათ. დღეს დილიდან გაულინის უღელტეხილის მიდამოებიდან, საცა იაპონელების სამმა კოლონამ ბრძოლა დაიწყო, ზარბაზნის სროლა ისმის. როგორც ამბობენ, საშინელი ბრძოლაა. იაპონელთ ძლიერი ჯარი ჰყავს ცენტრში. მარჯვენა ფრთაზე სიწყნარეა. ქარბუქი და სიცივეა.

ტოკიო, 13 თებერვალი. ცნობები, ვითომც იაპონიას შეეკვეთოს ინგლისისათვის 4 ჯავშნიანი გემი, ტყუილია. იაპონია მარტო თავის საკუთარ ვერფებში გააკეთებს გემებს. იმათი ნაციონალიზმი ამ მხრივ სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ვერფებს უკვე მიუვიდათ დიდი საამშენებლო პროგრამა; სხვათა შორის, ორი ჯავშნიანი კრეისერის შენებას შეუდგნენ. გუშინ მინისტრთა საბჭოში გაარჩიეს მეტად საყურადღებო კითხვები, იქვე ბჭობა ქონდა ყველა იმ შტაბებს, რომელნიც იაპონიაშია ამ ჟამად. პირველმა მინისტრმა კატცურამ გუბერნატორთა კრებაზე განაცხადა, რომ თუმცა საერთოდ გამარჯვება იაპონელებს რჩებათ, მაგრამ ნაადრევია ზავის ჩამოგდების სურვილი, ასე გასინჯეთ, რუსეთის შეხედულებითაც კიო. იაპონიამ შეურყეველი ენერგია უნდა გამოიჩინოს და მით მთელს მსოფლიოს დაუმტკიცოს თვისი ამტანობა. იაპონელებს სულ დღევანდლამდე 41 ვლადივოსტოკისაკენ მიმავალი გემი დაუჭერიათ.

სინმინტინი, 12 თებერვალი („დეილი ტელეგრაფი“). 40.000 იაპონელია თავმოყრილი ფოკუმენში (ტელინის დასავლეთით, 35 ვერსზე), საცა იგინი მივიდნენ გორაკებზე მონგოლიის საზღვრის გასწვრივ, ფიქრობენ, რომ ის რაზმი, რომელსაც რუსები შეხვდნენ ლიჩნაინთან და რომელიც ხუნხუზების რაზმი ეგონათ შესდგებოდა ფოკუმენისაკენ მიმავალ გადაცმულ იაპონელებისაგან. შაბათ დილით იქითკენ გაიარა სინმინტინსა და ლიაოხეს შუა 8000-მა იაპონელმა არტილერიით.

ლონდონი, 13 თებერვალი. რუსეთის 4 ჯავშნიანი გემი, ერთი კრეისერი და სამი ტრანსპორტი გასცდა დღეს პრაულპოინტს და დასავლეთისკენ გაემართა.

ბერლინი, 13 თებერვალი. ფრიდრიხ ლეოპოლდი გენუას წავიდა და იქიდან შორეულ აღმოსავლეთისკენ გაემგზავრება.

ტოკიო, 13 თებერვალი. იაპონიის არმიის მთავარ-სადგომი იუწყება, რუსის ქვეითა რაზმმა 10 თებერვალს ღამით იერიში მიიტანა იაპონელების პოზიციებზე ვაიტოშანის მხარეს; იაპონელებმა ორივე იერიში მოიგერიესო.

სახეტუნი 12 საათი. საღამოს 6 ს. 28 წუთ. მთელი დღე ბრძოლა იყო მარცხენა ფრთაზე. იაპონელები დიდის ჯარით წამოვიდნენ იერიშით ორ უმთავრეს ადგილას. აღმოსავლეთ კოლონა სინგოლინის უღელტეხილისაკენ მოჰქონდა იერიში. სოფ. მაძიადანისაკენ და ცინხეჩენის რაზმის მარცხენა ფრთას გვერდიდან უვლიდა. ცინხეჩენის რაზმმა გუშინ სანლუნიუსაკენ დაიხია, დასავლეთის კოლონა ჩრდილოეთ იანტაზაპუს მხარეს მოდიოდა და გოუტილინის უღელტეხილის გვერდიდან შემოვლას ცდილობდა. თუმცა საშინელი ქარ-ბუქი მძვინვარებს, მაინც მეტად გამწვავებული ბრძოლაა. საღამო ხანს რუსის რაზმებმა ჩრდილოეთ იანტუზანთან იაპონელების იერიში მოიგერიეს.

სუიატუნი, 13 თებერვალი. ღამის 1 ს. 14 წ. 10 თებერვალს ღამის 8 საათზე მტრის მოხალისეთა რაზმი დალიანტუნის წინ ტყის დაჭერას ეცადა, მაგრამ ჩვენმა მოწინავე რაზმებმა თოფი დაუშინეს და მოიგერიეს. მარჯვენა მხარეს მტრის არტილერიამ აგურხანის ქურიდან ჩვენს რედუტს, ეტყობა, სამთო ზარბაზნები დაუშინა. ჩვენმა ბატარეიამ მტრის მუშები გაფანტა. იაპონელები ეხლა უმთავრესად დამატუნის სამხრეთით სთხრიან ტრანშებს.

სახეტუნი, 13 თებერვალი. ცინხეჩენის რაზმმა გუშინ დილით სანლუნისაკენ დაიხია; იმისი მოწინავე რაზმი უღელტეხილებზე გამაგრდა, ისე რომ მტერს არ შეებრძოლა. დღეს დილიდან ზარბაზნის სროლა დაიწყო გოულინის უღელტეხილისაკენ. დღეს პირველი თბილი ღამე იყო, დილით ნისლი იდგა. ცენტრში ამ წამს გაძლიერებული ზარბაზნის სროლაა.

სახეტუნი, 13 თებერვალი. დილიდან მკაცრი ჩრდილოეთ-დასავლეთ ქარი ჰქროდა და თოვლ-ბუქი იყო. მინდორში დიდი ქარბუქი, ცივა. დღეს იაპონელები სამის რაზმით იერიშით წამოვიდნენ გოულინის უღელტეხილისაკენ. ხმა დადის, იქ მედგარი ბრძოლა ასტყდაო. იაპონელებს ბე[illegible]რი ჰყავთ ცენტრში. მარჯვენა ფ[illegible] წყნარეა. ამინდი ხელს უშლი[illegible]ლებს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადა[illegible]**

განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის

გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1905 წლის 21 თებერვალს, დღის 12 საათზე, გამგეობის დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს არჩეულ რიყის ქვით მოკირწვლა შემდეგის ქუჩებისა: მიხეილის, გიმნაზიის, ვორონცოვის, ალექსანდრეს, კათოლიკის, სომხის, ვექილის, ბაზრის, საყასბოს, „პოდგორნი“ ქუჩებისა და [illegible]არპირისა და გაბრიელის ქუჩის ნაწილისა, სივრცით სულ 8315 ოთკუთხ საჟენისა. სავარაუდო აღრიცხვით მთელი სამუშაო ნაანგარიშევია 20,660 მანეთად. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოადგინონ ბედ სავარაუდო ჯამის 5% პირობების, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა და სხვათა გაცნობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველდღეს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (3—6—1)

ციირე წლოვანდა მნაშავეთა ახალშენების და თავშესაფარების საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ პარასკევს, 25 თებერვლისთვის, ტფ. სამოსამართლო პალატის სადგომში, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება

განსახილველი საგნები.

1. მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ 1904 წელს; 2. ფულის ანგარიში 1904 წლისა; 3. გამასწორებელ ახალშენის ანგარიში 1904 წ., 4. სავარაუდო აღრიცხვა 1905 წლისა; 5. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 6. გამგეობის ოთხის წევრის, მათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები; 7. მოხსენება მოზარდთათვის ახალშენში განსაკუთრებულ განყოფილების მოწყობის შესახებ; 8. წინადადება გამგეობისა ს. ბ. ვრასკის საპატიო წევრისა და იმის სურათის მოთავსე[illegible]ბ საქტო დარბაზში.

[illegible]ნა. საზოგადო კრება შესდგე[illegible] ქმნ[illegible]წრო 20 წევრზე არა ნაკლები. [illegible] § 17.). (3—3)

რუსეთ-ამიერ-კავკასიის სამთა-მადნო სააქციონერო საზოგადოების გამგეობამ გამოსცა აქციები თითო 250 მანეთისა. გამგეობა აცნობებს კავკასიის მცხოვრებთ შეიძინონ საზოგადოების აქციები და მით ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ.

პირველი შესატანი თითო აქციის 85 მ. დაწვრილებით ცნობებისთვის მსურველთ უნდა მიჰმართონ: ქ. ქუთაიში ბ-ნ ხ. მ. მატროშილინს და კ. პ. კოზლოვსკის, ტფილისში—ბ-ნ გრეხოვს და განჯაში—ბ-ნ პეტროვს. (1—01911—1)

უფლების მქონებელნი ვექილნი
სამზრუნველოს
ტფილისის კალოუბნის ეკკლესიისა
შეიყარნენ რა 8ო ამა თებერვალსა, ვაშინჯეს რა რომელიმე შეკითხულებანი შესახებ სამზრუნველო. საქმეებისა და განაჩინეს:

ა., გამოეცხადოს სამზრუნველოსგან დაბეჭდვით ადგილობრივ გაზეთში გულწრფელობითი მადლობა თ. ს. არღუთინსკი-დოლგორუკოვს და ბ. პ. ვესელოვზოროვს, შეწირვისათვის შესაკეთებლათ ეკკლესიისა: პირველმან ერთი თუმანი და მეორემ თხუთმეტი მანეთი.

ბ., გამოცხადება, თანახმად მე 8-ს მუხლისა სამზრუნველო წესდებულებისა, რომელ წარსულს წელს განზანაკიდან შემოვიდა ეკკლესიის სასარგებლოდ სულ ოთხი თუმანი, ოთხი მანეთი და თოთხმეტი კაპეიკი: ა-ს ღვინობისთვეს ჩმდ წელსა ამოეღო ცამეტი მანეთი და ექვსი შაური, ხოლო ბ-ს ამა თებერვალსა სამი თუმანი, ოთხი აბაზი და ოთხი კაპეიკი.

და გ., ეკკლესიის გალავანში თვინიერ კალოუბანსკის სახლობის წევრთა მქონებელთა საგვარეულო აკლდამისა, ძალუძს დაეკრძალონ კიდევ არა უმეტეს ათის გარეშე პირისა სახელდობრ: ა) ექვსი სამხრეთის ნაწილში გალავნისა მახლობლად მდებარე კომენდანტის უპრავლენიისადმი, ესე იგი მარცხენა მხრივ გალავნის შესავალში და ბ) ოთხი სამხრეთის ნაწილში გალავნისა, რისთვისაც თვითეული ალაგი საფლავისა დაფასებულია სამხრეთის ნაწილში ათას მანეთად, ხოლო ჩრდილოეთისაკენ—ხუთას მანეთათ, უეჭველის პირობით, როს საფლავზე არ დაიდგას აყუდებული ძეგლი და მის ნაცვლად დაედვას ლორფინი ანუ ფილაქანი, შიგ ჩასმით მარმარილოს პატარა ფიცრისა ანუ პირდაპირ ლორფინზედ წარწერილობით.

სამზრუნველოს თავმჯდომარე გ. ი. მუსხელოვი. (1—51—1)

პირველი საწყობი
შეშისა
პ. ი. კურცხალიასი


ანდრეევის ქუჩა დამონის პირდა-პირ. საკუთარის ტყიდან მილებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა

ცუდად დაწყობილი — საკუთარ პოვოსკებით კისულობს შეშა იყიდება საჟნობითაც და ფუთობითაც. **მყიდველს ნება აქვს შეშის** — კარგად დაწყობილი

საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—1) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

ნამდვილი მაისის ბალზამი

დეისტ. სტ. სოვ.-ის ქვრივის ა. პ. კოროსტოვცევას სიკვდილის შემდეგ, რომელიც ამზადებდა და ჰყიდდე ნამდვილ მაისის ბალზამს და რომელიც სცხოვრობდა პეტერბურგში, ობუხოვის ხიდთან, სახ. ალექსანდროვისა № 109/14, ბინა 12, ამ საქმეს განაგრძობს იმისი ქალი ელენე იაკობის ასული კოროსტოვცევა (ქმრის გვარი გრ. სეჩენი), რომელიც სცხოვრობს იქვე. ბალზამი ეხლა იყიდება წინანდელ ადგილის ერრდაპირ, საკუთარ სახლში, ობუხოვის ხიდზე, III/15. ბინა 12. ბალზამი გაიგზანება ფას-დადებით. პათი შუშა გაგზავნით ღირს 1 მ. 40 კ. 12 შუშა—12 მან. 6 შუშა—6 მან., პატარა შუშა —50 კ. (3—მც.—3)

ახლად დაბეჭდილი
# სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა სურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—11)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
# სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სამზრუნველო
ტფილისის კალოუბნის ეკკლესიისა,

ზრუნავს რა კეთილ წესიერებისათვის ძველთაგანვე პატივცემულის ეკკლესიისა, აწ მოითხოვს საფუძვლიან განახლებასა, უმორჩილესათ სთხოვს მრევლთა და ადგილობრივ კეთილ მომქმედთა პირთა არა ჰყოთ უარი შესაძლო შეწევნაზე სამზრუნველობისადმი მოსაყვანებლათ ძველის ეკკლესისა, მის გალავნისა და კრების სადგურისა, რომელიც იმყოფება შუა ქალაქსა შინა, ჯეროვანს კეთილ მდგომარეობისა და წესიერებაში.

შეწირულება მიიღების: ხაზინადრის მზრუნველობისა ა. ს. ჩივაძისაგან (მდგომარე მამა დავითის მოედანზე № კვ:) და წევრთა: ბ. ა. სარატოვისაგან (გოლოვინის პროსპექტზე № დ:). კ. დ. ახმადოვისგან (მამა დავითის მოედანზე № ა:) და მამა მათე მონასელიძისგან (: ეკკლესის გალავანში:).

სამზრუნველოს თავმჯდომარე გ. ი. მუსხელოვი. (1—51—1)

კბილის პასტა
ვისბადენის წყაროს მასალისაგან
№ 4711

ეს ბუნებრივი საშუალებაა **კბილების** საწმენდად, რომელიც ექიმებმა საუკეთესოდ სცნეს. ეს საშუალება შეიცავს ყველა იმ თვისებას, რაც საჭიროა კბილებისა და პირის მოსავლელად. იგი ახალი გამოგონებაა თანამედროვე მეცნიერებისა და კბილის საშუალებათა შორის ამისთანა სხვა არ მოიპოვება.

ერთად-ერთი ფაბრიკანტი

ფერდ. მიულგენსი

კელნი და რიგა.

მოიპოვება ყველა აფთიაქსა საპირფარეშო და სააფთიაქო მაღაზიებში.

(5—მც.—4)

Доз. цен. Тифл[illegible] 1905

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.